

ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ალ. ნათიშვილის სახელობის მორზოლობის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნატალია ქებაძე

ქართველ-რეცეპტორები და ათერობენზელი სტატუსი –
ძუძუს კიბოს მორზოლობიური თავისებურებისა და
პრობნოზის ბიომარკერები

მედიცინაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ი რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: უჩა გაბუნია – მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნონა კაკაურიძე – მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



2010

სარჩევი

თემის აქტუალობა	3
კვლევის მიზანი და ამოცანები	5
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	6
ნაშრომის პრაქტიკული დირექულება	8
ლიტერატურის მიმოხილვა	9
გამოყენებული მასალა და კვლევის მეთოდები	36
დანართი – საკუთარი მასალა	39
საკუთარ გამოკვლევათა შედეგები	44
მიღებული მონაცემების ანალიზი	55
ილუსტრაციები	65
დასკვნები	92
პრაქტიკული რეკომენდაციები	94
ლიტერატურის საძიებელი	96

თემის პრეზალობა

გულსისხლძარღვთა დაავადებები და ავთვისებიანი სიმსივნეები წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას და, როგორც სიკვდილობისა და ინგალიფობის მიზეზი, იკავებს პირველ და მეორე ადგილს ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში. პრობლების მაღალი სოციალური მნიშვნელობა ამართლებს მკურნალობის ძიების ნებისმიერ ახალ ვარიანტს. მკურნალობისა და პაციენტების ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენს იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც იმყოფება ონკოლოგიისა და ანგიოლოგიის მიჯნაზე.

ცნობილია, რომ ორგანიზმის მაკროპარამეტრებიდან, რომლებიც მოქმედებენ ძუძუს კიბოს განვითარებაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წონასა და ლიპიდურ სტატუსს. ისინი მიეკუთვნებიან ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებენ იმუნურ სისტემაზე და ესტროგენების პროდუქციაზე. ხოლო ესტროგენების პროდუქციის მოშლა იწვევს ძუძუს კიბოს განვითარებას. ძუძუს კიბოს გაფრცელებაზე აგრეთვე მოქმედებს სისხლის შრატში ლიპიდური ფრაქციების დისბალანსი (ჰიპერ- და დისლიპოპროტეინემია). ლიპიდები და ლიპოპროტეინები მონაწილეობენ იმუნომარეგულირებელი ეფექტების ფორმირებაში, აწარმოებენ ესტროგენების რეცეპტორული შეკავშირების მოდულირებას სამიზნე ქსოვილებში. ამიტომ პაციენტის ორგანიზმის ლიპიდური სტატუსის ცოდნამ, განსაკუთრებით დაავადების საწყის ეტაპზე, შესაძლებელია გარკვეული წვლილი შეიტანოს ძუძუს კიბოს მკურნალობის სტრატეგიაში.

საქართველოში სიკვდილობა გულსისხლძარღვთა დაავადებებისგან წამყვანი პოზიცია უკავია. უხშირესად სიკვდილის მიზეზს წარმოადგენს იშემიური დაავადების გართულებები, მათ შორის მიოკარდიუმის ინფარქტი და ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევები, რომლებსაც საფუძვლად უდევს პროგრესირებადი ათეროსკლეროზი. როგორც ცნობილია, ათეროსკლეროზის წამყვან პათოგენურ ფაქტორს წარმოადგენს ლიპიდური ცვლის მოშლა, ამიტომ ლიპიდური პროფილის ცოდნა წარმოადგენს ათეროსკლეროზისა და მისი გართულებების რისკის განსაზღვრის აუცილებელ კომპონენტს.

ქალებს კლიმაქტიულ პერიოდამდე აღენიშნებათ ათეროსკლეროზის განვითარების მცირე რისკი, გამომდინარე იქიდან, რომ ესტროგენები დადებითად მოქმედებენ ლიპიდურ ცვლაზე.

წლების განმავლობაში გინეკოლოგები დიდ იმედებს ამყარებდნენ ჰორმონულ ჩანაცვლებით თერაპიაზე. არსებობდა აზრი, რომ ქალის სასქესო ჰორმონების გამოყენება საკვერცხეების ენდოკრინული ფუნქციის რეგულირების პერიოდში ხელს შეუშლის ათეროსკლეროზის განვითარების პროცესს. მაგრამ ჩატარებულმა კვლევებმა არ გაამართლა მოლოდინი. როგორც ადრინდელი გამოკვლევებიდან იყო ცნობილი, კვლავ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ჩპთ ზრდის ჰორმონდამოკიდებული ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკს (მაგ., ძუძუს კიბოს), რაც თავისთავად იყო ჰორმონული თერაპიის პროგნოზირებადი გვერდითი მოვლენა. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ჰორმონული ჩანაცვლებითი თერაპია არა მარტო არ ამცირებს გულსისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნის რისკს, არამედ პაციენტების ზოგიერთ ჯგუფში ხელს უწყობს მათ განვითარებას. ბოლო წლების ამ კვლევების შედეგები გვაფიქრებს, რომ საჭიროა ათეროსკლეროზისა და ძუძუს კიბოს პროფილაქტიკის ახალი მეთოდების შემუშავება.

პეტიცია მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ძუძუს კიბოს ინგაზიურობისა და ავთვისებიანობის ინდივიდუალიზაცია ბიომარკერების ორიგინალური კომპლექსის (ასაკი, ესტროგენ-რეცეპტორების სტატუსი, ლიპიდური სპექტრი) საფუძველზე.

ამოცანები:

1. ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა პოსტოპერაციული ისტორიების შესწავლა რეტროსპექტულად და პოსპიტალიზებულ პაციენტებში;
2. შესწავლილ მასალაში ესტროგენ-რეცეპტორების (ერ) სტატუსისა და მორფოლოგიური ფორმების დაღვნა;
3. ამონარჩევ პაციენტებში გულის იშემიურო დაავადებისა (გიდ) და მისი რისკ-ფაქტორების (ლიპიდური სტატუსი) დაღვნა;
4. საკონტროლო ჯგუფის პაციენტებში ლიპიდური სპექტრის დაღვნა;
5. ერ-ის სტატუსს, ძუძუს კიბოს ავთვისებიანობის მახასიათებლებს (მორფოლოგიური ფორმების, ინგაზიურობის და სტადიურობის საფუძველზე) და ლიპიდურ მაჩვენებლებს შორის კავშირის დაღვნა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში;
6. მასალის სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე კომპლექსური ბიომარკერების დაღვენა ინგაზიურობისა და სტადიურობის პროგნოზირების მიზნით ასაკის ფაქტორის გათვალისწინებით;
7. მიღებული შედეგების საფუძველზე პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლების როგორც ბიომარკერების გამოყენება ძუძუს კიბოს სხვადასხვა ფორმებისა და ერ-ის სტატუსის გათვალისწინებით ასაკოვან ასპექტში, ანუ ესტროგენით რეგულაციის თანდათანობითი რეგულაციის პირობებში.

დადგინდა, რომ:

1. ესტროგენ-დადებითი (ერ „+“) კიბოს შემთხვევები მატულობს შუახნის ასაკში ათეროგენული ლიპიდების დაბალი მაჩვენებლების ფონზე, ესტროგენების შემცირების მიუხედავად;
2. ესტროგენ-უარყოფითი (ერ „-“) სიმსივნეების დროს არ ხდება ესტროგენების შეკავშირება სამიზნე ქსოვილების ერ-თან (ძუძუ, გულსისხლძარღვთა სისტემა, ღვიძლი), რის შედეგად პერიფერიულ სისხლში აღინიშნება ესტროგენების ნორმალური, ან მომატებული დონე, და მიმდინარეობს ათეროგენული ლიპოპროტეინების ფონზე და, ამდენად, დისლიპიდემია და ნორმალური, ან მაღალი რაოდენობის ესტროგენის მაჩვენებლები წარმოადგენს სამიზნე პოპულაციას ათეროსკლეროზული დაავადების და ერ „-“ ძუძუს კიბოს პროფილაქტიკისთვის;
3. ერ „-“ სიმსივნეების უჯრედები პროლიფერაციისა და გავრცელებისთვის მოიხმარს ქოლესტერინს, რაც გამოიხატება საერთო ქოლესტერინისა და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის დაჭვეითებაში. ტრიგლიცერიდების მომატება ამ დროს გამოწვეულია მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის შემცირებით, რომელიც წარმოადგენს ამ მაჩვენებლის ერთ-ერთ რეგულატორს;
4. ერ „+“ სიმსივნეების გავრცელების მაჩვენებელია საერთო ქოლესტერინის, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების მნიშვნელოვანი მომატება I სტადიისგან განსხვავებით, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის იგივე მაჩვენებლების დროს;

5. სადინროვანი კარცინომის (ძუძუს კიბოს ეგელაზე გავრცელებული ფორმა) ავთვისებიანობას ახასიათებს საერთო ქოლესტერინის დაქვეითება დანარჩენი ათეროგენული ლიპიდების მომატების ფონზე. თანამედროვე მედიცინაში ქალის პრემენპაუზისა და მენოპაუზის პერიოდი გამოირჩევა ესტროგენ/პროგესტერონის დისბალანსით, რაზეც დიდადაა დამოკიდებული შემდეგი საკვანძო საკითხები:

- კლიმაქტიული სინდრომის განვითარება, რომლის დასარეგულურებლად ხშირად გამოიყენება ესტროგენები;
- ამ პერიოდს თანხვდება გულის ოშემიური დაავდების (გიდ) ინცინდენტების მატება პიკურ დონემდე, დისლიპიდემიის ფართო გავრცელება ამ პოპულაციაში, რაც ამ კატეგორიას გამოყოფს გიდ-ის მაღალი რისკის კატეგორიად. ამ დროს დისლიპიდემიის კორექციისთვის ფართოდ გამოიყენება ესტროგენები;
- ესტროგენების დისბალანსი იწვევს ჰიპოქოლესტერინემიას, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების, შემადედებელი სისტემის გააქტივებას, თრომბოზებს, ძუძუს კიბოს განვითარების მაღალ რისკს;
- ამდენად, ეს არის მაღალი რისკის პოპულაცია (50-70წწ) როგორც გიდ-ის, აგრეთვე ძუძუს კიბოს განვითარების თვალსაზრისით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ძუძუს კიბოს მორფოლოგიისა და ლიპიდური ცვლის საფუძველზე გამოიყო გიდ-ის რისკის მქონე პაციენტთა ჯგუფი. ამიტომ მნიშვნელოვანია შეიქმნას პაციენტთა კონტინგენტი ინდივიდუალური უსაფრთხო მკურნალობისთვის, სადაც გათვალისწინებულ იქნება როგორც გიდ-ის, ასევე ძუძუს კიბოს რისკ-ფაქტორები, რათა არ მოხდეს ამ ორი პათოლოგიის პროგრესირების პროცენტირება. მკურნალობის დანიშვნისას გათვალისწინებულ იქნება რისკ-ფაქტორების კორელაცია.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე მედიცინის წინაშე მთელი სიმწვავით დგას სიკვდილობის და ინგვალიდობის განმაპირობებელი ორი უსმირესი ავადმყოფობის ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ათეროსკლეროზის საკითხი. ორივე ავადმყოფობა უპირატესად ასაკოვან ქალთა ხვედრია და ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ორ დაავადებას შორის არსებული ურთიერთობის გარკვევა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობის გარკვევა მენოპაუზის მდგომარეობაში მყოფ ქალებში, რადგან სწორედ ამ პერიოდში ხშირია როგორც ათეროსკლეროზი, ისე ძუძუს ეპითელური გენეზის სიმსივნეები, მათ შორის ძუძუს კიბოც, რომლის სიხშირეც საქართველოში მეტად მაღალია (სიხარულიძე ა., მადიჩი კ., ნემსაძე გ., 2000).

სტატისტიკური მონაცემებით დადგენილია, რომ ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების საერთო სტრუქტურაში ძუძუს კიბოს პირველი ადგილი უკავია, განსაკუთრებით ხშირია იგი ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში (სიხარულიძე ა., მადიჩი კ., ნემსაძე გ., 2000).

მსოფლიოს მასშტაბით ქალთა პოპულაციაში დაავადების ყოველ მილიონ ახალ შემთხვევაზე ძუძუს კიბოზე მოდის შემთხვევათა 18% (McPherson K., Steel C. M., Dixon J. M., 2000).

დიდ ბრიტანეთში 40-50 წლის ქალებში სიკვდილობის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს ძუძუს კიბო წარმოადგენს, რაც შეადგენს სიკდილობის 1/5 ამ ასაკობრივ ჯგუფში (Grodstein F., Stampfer M., 1997).


ყოველწლიურად აღინიშნება 14 000 მეტი ლეტალური შემთხვევა და იგი განსაკუთრებით ხშირია 50-64 წლის ასაკის ქალებს შორის (Beral V., Banks E., Reeves G., 2002).

50 წლის ასაკში ყოველ 1000 ქალზე 2 აღენიშნება ახლად დიაგნოსტირებული ძუძუს კიბო, რაც ნიშნავს, რომ ძუძუს კიბოს გავრცელება შეადგენს თითქმის 2% (Manson J. E., Bassuk S. S., Harman M., et al., 2006).


ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ძუძუს კიბოს 540 000 ახალი შემთხვევა ვლინდება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის

ექსპერტთა მონაცემებით, 2000 წლისთვის გამოვლინდა ძუძუს კიბოს 800000-1000000 ახალი შემთხვევა (სიხარულიძე ა., მადიჩი კ., ნემსაძე გ., 2000).

საქართველოში საკმაოდ მძიმე ვითარებაა ძუძუს კიბოთი ავადობის მხრივ. ზოგადად აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდის ტენდენცია (ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო 2005) (იხ. სურ. 1).




თუ, მაგალითად, საქართველოში 1998 წელს ძუძუს კიბოთი ავადობის მაჩვენებელმა 100 000 მოსახლეზე შეადგენდა 34,5 (ანუ, მეტი იყო იაპონიის ავადობის მაჩვენებელზე), 2002 წელს იგი გახდა 44,6 (თითქმის გაუტოლდა ბრაზილიის მაჩვენებელს), ხოლო 2005 წლისთვის მან მიაღწია 50,0 (შვიდ წელიწადში გახშირდა 1,7-ჯერ) (ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2005) (იხ. სურ. 2).



სურათი 2. სარეგვე ჯილდოს და საშვილოსნოს ჭელის ავთვისებიანი სიმსივნეებით
ავადობის მაჩვენებელი, საქართველო, 1998 – 2005

ძებუს ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობა ქალებში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: ყველაზე ხშირად იგი გვხვდება 55-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში და შეადგენს 203,9 შემთხვევას 100 000 მოსახლეზე; მეორე ადგილზეა 65-69 წლის ასაკობრივი ჯგუფი (136,6 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე), ხოლო მესამე ადგილზეა 50-54 წლის ასაკობრივი ჯგუფი (124,3 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე) (ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2005) (იხ. სურ. 3).



სურათი 5. სარძევე ჯირკვლის აპოვისმაიანი სიმსივნეებით ავაღობა ქალებში
ასაპოზიტი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2005

ონკოლოგიურ პაციენტებს შორის სიკვდილობის ყველაზე ხშირ მიზეზს ძუძუს კიბო წარმოადგენს და მისი სიხშირე მატულობს იმ რეგიონებშიც, სადაც აქამდე აღინიშნებოდა ამ დაავადების შედარებით დაბალი გავრცელება (Key T. J., Verkasalo P. K., Banks E., 2001).

მნიშვნელოვანია ძუძუს კიბოსა და ათეროსკლეროზის ურთიერთმიმართების საკითხი. ქალებს ვიდრე არ შეუსრულდებათ 50 წელი აღენიშნებათ საერთო ქოლესტერინის (სქ), ტრიგლიცერიდებისა (ტგ) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (დსლქ) დაბალი, ხოლო მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (მსლქ) მაღალი დონე (პეისი ჭ., ტამირი ი., ტიროლერი ჰ., რიგკინი ბ., 1980). ჩანაცვლებითი თერაპია ესტროგენებით ამცირებს ქოლესტერინის დონეს და დსლქ მატებას კლიმაქტერულ პერიოდში და იწვევს მსლქ სტაბილიზაციას (ვოლში ბ., შიფი ი., როზნერი ბ., 1991).

გამოკვლევებმა, რომლებიც ტარდებოდა 24 წლის მანძილზე, აჩვენა, რომ არცერთი ქალი მენოპაუზამდე არ დაავადებულა მიოკარდიუმის ინფარქტით და არ მომკვდარა კორონარული სისხლძარღვების პათოლოგიით (Stout R. W., 1985).

ამასთან დაკავშირებით ინგლისში ჩატარებული გამოკვლევა, რამაც ცხადყო, რომ იმ პაციენტებს, ვისაც ნაადრევად ჩამოუყალიბდათ კორონარული სისხლძარღვების დაზიანება, ძირითადად შეადგენდნენ პოსტმენოპაუზურ პერიოდში მყოფი ქალები (Stout R.W., 1985).

მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულია დიდი რაოდენობით გამოკვლევა, რამაც გვიჩვენა, რომ ესტროგენების გამოყენება პოსტმენოპაუზურ პერიოდში ამცირებს გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს 30%-ით (Mendelsohn M. E., Karas R., 1999, Akhrass F., Evans A. T., Wang Y., et al., 2003), თუმცა პარალელურად მატულობს ძუძუს კიბოს განვითარების რისკი (Speroff L., Glass R. H., Kase N., 1994; Willett W. C., Rockhill B., Hankinson S. E., et al., 2000).

კვლევების შედეგების მიხედვით, ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების საერთო სტრუქტურაში ძუძუს კიბოს სიხშირემ მოიმატა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საერთოდ და კერძოდ საქართველოშიც. თუ 1995 წელს 100 000 ქალზე მოდიოდა ძუძუს კიბოს 44,4 შემთხვევა, გრძელვადიანი პროგნოზირების მონაცემებით, 2000 წლისთვის მისმა სიხშირემ მიაღწია $48,8 \pm 1,4$ შემთხვევას (Stout R.W., 1985). გამომდინარე აქედან, ძუძუს სიმსივნეების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება გულის ოშემოურ დაავადებას (გიდ), როგორც ათეროსკლეროზის გართულებას, იგი მამაკაცებში უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში (Stout R.W., 1985), თუმცა ბოლო ათწლეულებში ქალებში შეიმჩნევა მატების ტენდენცია. ასე, მაგალითად, ინგლისში და უელსში 1973 წელს დაფიქსირდა 763 გიდ-ით სიკვდილით შემთხვევა ქალებში 30-34 წლის ფარგლებში, მაშინ როცა იმავე პერიოდში მამაკაცებში დაფიქსირდა 10692 შემთხვევა (Kagan A., Dawber T. R., Kannel W. B., Revotskie N., 1977). მაგრამ 50 წლის შემდეგ გიდ-ით დასწებოვნების სიხშირე მამაკაცებში და ქალებში ერთმანეთს უახლოვდება და 70 წლის შემდეგ თითქმის იდენტური ხდება (Stout R.W., 1985). აღნიშნულ ფაქტში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ესტროგენებს (Akhrass F., Evans A. T., Wang Y., et al., 2003).

ძუძუს ნორმალური უჯრედები შეიცავს სპეციფიურ შემაკავშირებელ პროტეინებს ესტროგენებისთვის, პროჟესტინისთვის, გლუკოკორტიკოიდებისთვის და ანდროგენებისთვის. მათი რაოდენობა

დამოკიდებულია სარძევე ჯირკვლის დიფერენციაციის სტადიაზე (Moudgil V., 1985, Nerukar A. A., Desal S. B., Baraniya J., Yadav J., Chinoy R. F., 1997).

როგორც აჩვენა ექსპრიმენტულმა კვლევებმა ესტროგენ-რეცეპტორის (ერ) კონცენტრაცია ძუძუს ნორმალურ ქსოვილში არანამშობიარებ ან ფეხმძიმე მდრღნელებში მცირედია და მატულობს ლაქტაციის პერიოდში (Kelly P. et al., 1983).

J.Wittliff-მა (1975) ჯანმრთელ ძუძუს ქსოვილში აღმოაჩინა ერ-ის ძალიან მცირე რაოდენობით. ეს მოვლენა ავტორმა დაუკავშირა ძუძუს ქსოვილში არსებულ მცირე რაოდენობით ეპითელურ უჯრედებს და მეტი რაოდენობით ცხიმოვან უჯრედებს (Wittliff J., 1975; Leclercq G., Heuson J., 1977).

ერ აგრეთვე აღმოჩენილ იქნა ძუძუს კიბოს შემთხვევაში (Allegra J. C., Lippman M. E., Thompson B., et al., 1979; Lesser M. L., Rosen P. P., Senei R. T. et al., 1981).

სარძევე ჯირკვლის ნორმალური ქსოვილი მაღიგნიზორებულისგან განსხვავებით შეიცავს ცოტა ერ (Stout R.W., 1985, Koenders P. G., Beex L. V., Langens R., Kloppenborg P. W. C., Smals A.G. H., Benraad Th. J., and the breast cancer study group, 1991).

ჰორმონული რეცეპტორების დონის განსაზღვრისას ყურადსაღებია კლინიკური და ფიზიოლოგიური ფაქტორები: სქესი, ასაკი, რასა, ორგანოს ლოკალიზაცია, სიმსიგნის უჯრედოვნება და პისტოლოგიური დიფერენციაცია, მენოპაუზა, ფეხმძიმობა და ლაქტაცია, წამლების მიღება (Wittliff J. L., Pasic R., Bland K. I., 1991; Ownby H. E., Frederick J., Russo J., et al., 1995, Hill A. D., Doyle J. M., McDermott E. W., et al., 1997).

ინფილტრაციული სადინროვანი კარცინომის ბიოპტატებში აღმოჩენილ იქნა სტეროიდული ჰორმონები, რომელთა კონცენტრაცია ვარირებდა ნულიდან თითქმის 6000 ფმოლ/მგ (Wittliff J. L., Pasic R., Bland K. I., 1991). განისაზღვრა არა მხოლოდ პისტოლოგიური დახასითება, რაც ხსნის ერ დონის ვარიაბელობას ძუძუს კიბოში (Blanco G., Alavaikko M., Ohala A., et al., 1984).

Anthony N. Roberts, R. Hähnle (1981) გამოიკვლიეს ასოციაციები ერ-ს, ძუძუს კიბოს მორფოლოგიურ თავისებურებებსა და პროგნოზს შორის პირველადი კარცინომის 53 შემთხვევაში. არანაირი არსებითი ასოციაცია ერ-სა და მორფოლოგიურ თავისებურებებს შორის (სტადია, უჯრედოვნება, ფიბროზი,

ელასტოზი, ნეკროზი, ლიმფური პენეტრაცია, ფოლიგულური პიპერპლაზია, ვასკულური ინგაზია, პისტოციტოზი, ლიმფოციტური უჯრედების ინფილტრაცია, ინგაზირებული ლიმფური უჯრედების რაოდენობა, სიმსივნის ზომა, რეციდივების ადგილი) არ იქნა აღმოჩენილი.

ძუძუს კიბოს დროს ნათელი პერიოდი და სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობა ერ „+“ პაციენტებს აღენიშნათ.

თუმცა სხვა კვლევების თანახმად (Thomas C. Putti, Dalia M. Abd El-Rehim, Emad A. Rakha, Claire E. Paish, Andrew H.S. Lee, Sarah E. Pinder and Ian O. Ellis, 2005), ერ „-“ სიმსივნეები ატარებენ განსაკუთრებულ მორფოლოგიურ თვისებებს. მათ წამყვან მორფოლოგიურ თვისებებს მიეკუთვნება ინტენსიური გავრცელება (გამოხატული ინგაზიურობა), კომედო-ტიპის ნეკროზი და ცენტრალური ფიბროზი/ნეკროზი. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი სუბტიპები, როგორიც არის მეტაპლაზიური კარცინომა, ადენოიდურ-ცისტური კარცინომა, აპოკრინური კარცინომა და წილაკოვანი კარცინომა.

ერ-ის, როგორც რეციდივის და სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელობა, შესწავლილ იქნა 121 ქალში, რომელთა შემთხვევაში მასტექტომიდან გასული იყო 5–12 წელი (Parl F. F., Schmidt B. P., Dupont W. D., Wagner R. K., 1984). ერ-ის სტატუსის პროგნოსტული მნიშვნელობა განსაზღვრულ იქნა დამოუკიდებლად და სიმსივნის სტადიის, იდლიის მეტასტაზების და პისტოპათოლოგიური სტადიის გათვალისწინებით (Howell A., Harland R. N. L., Branwell V. H. C., et al., 1984). კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ერ „-“ და ერ „+“ სიმსივნეებს შორის პროგნოზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება არ იყო აღმოჩენილი, თუმცა უკანასკნელ ჯგუფში შეინიშნებოდა რეციდივების უფრო გვიანი წარმოქმნა და უფრო გრძელვადიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა. მონაცემების მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, ერ-ის სტატუსის სინერგიული მოქმედება იდლიის მეტასტაზების წარმოქმნის რისკზე. პაციენტებს იდლიის მეტასტაზებით აღენიშნებოდათ 2.8-ჯერ მომატებული რეციდივების რისკი, იმ პაციენტებთან შედარებით, ვისაც მეტასტაზები არ გამოუვლინდა. ქალებში იდლიის მეტასტაზებით, ვისი პირველადი ძუძუს კიბო იყო ერ „-“ ეს რისკი მატულობდა 4.6-ჯერ, შედარებით იმ ქალებთან, ვისაც აღენიშნებოდათ ერ „+“ სიმსივნეები მეტასტაზების გარეშე ($p=0.0003$). კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის რისკი 5.6-ჯერ

იყო მომატებული მცირედ დიფერენცირებული სიმსივნეების შემთხვევაში, მაღალ დიფერენცირებულ სიმსივნეებთან შედარებით. მცირედ დიფერენცირებული ერ „-“ სიმსივნეების დროს დაფიქსირდა სიკვდილობის მაღალი რისკი, შედარებით მაღალ დიფერენცირებულ ერ „+“ კარცინომის მქონე პაციენტებთან ($P=0.009$). ერ-ის სტატუსის განსაზღვრა სიმსივნის სტადიის, იდლიის მეტასტაზების და ჰისტოპათოლოგიური სტადიის გათვალისწინებით ინფორმატულია სიმსივნის რეციდივისა და სიკვდილობის მომატებული რისკის იდენტიფიცირებისთვის (Howell A., Harland R. N. L., Branwell V. H. C., et al., 1984, Stanford J. L., Szklo M., Brinton L. A., 1986).

ესტროგენი ეს არის ჰორმონი, რომელიც აუცილებელია სარძევე ჯირკვლის ნორმალური ზრდისთვის და განვითარებისთვის. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეპროდუქციულ პროცესებში და არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს (Moudgil V. K., 1985). იგი აგრეთვე ხელს უწყობს გულისა და ძვლის ქსოვილის ნორმალურ ფუნქციონირებას. თუმცა მის ხანგრძლივ ზემოქმედებას შეუძლია ზიანი მიაყენოს ქალის ორგანიზმს, კერძოდ, მატულობს ძუძუს კიბოს განვითარების რისკი (Clark R. A., 2002, Yager J. D., Davidson N. E., 2006).

1940 წელს ძუძუს კიბოთი დასნებოვნების რისკი შეადგენდა 5%, რაც ნიშნავს, რომ ყოველ 20 ქალზე მოდიოდა ძუძუს კიბოთი დასნებოვნების 1 შემთხვევა. ამერიკის კანცერის საზოგადოების კვლევის თანახმად 2009 წელს რისკმა შედაგინა 13%, ანუ უკვე 9 ქალიდან 1 ავადდება ძუძუს კიბოთი. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ პაციენტების 75% არ გააჩნიათ ძუძუს კიბოს განვთარების რაიმე რისკ-ფაქტორი.

არსებობს სხვადასხვა სახის რისკ-ფაქტორები. ზოგიერთი მათგანის, მაგალითად სქესის და ასაკის, შეცვლა შეუძლებელია. ზოგი დაკაგშირებულია გარემო ფაქტორებთან, ან ადამიანის ცხოვრების სტილის ინდიკირულურ თვისებებთან (სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლი, არასწორი კვება). სხვადასხვა რისკ-ფაქტორებს სხვადასხვა ზეგავლენა აქვთ და, აქედან გამომდინარე, ძუძუს კიბოთი დასნებოვნების ალბათობა ცვალებადობს ცხოვრების მანძილზე (Dupont W. D., Page D. L., 1985).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩამოთვლილია ძუძუს კიბოს სარწმუნო და სავარაუდო რისკ-ფაქტორები (McPherson K., Steel C. M., Dixon J. M., 2000), ჩვენ აქვთ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმეს (იხ. ცხ. 1).

ცხრილი 1. ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორები

რისკ-ფაქტორი	შედარებითი რისკი	მაღალი რისკის ჯაზფი
ასაკი	>10	ხანდაზმულები
გეოგრაფიული მდებარეობა	5	განვითარებული ქვეყნები
მენარქეს ასაკი	3	მენარქე 11 წლამდე
მენოპაუზის ასაკი	2	მენოპაუზა 54 წლის მერე
პირველი მშობიარობა	3	პირველი ბავშვი 40 წლის ზევით
გენეტიკური ფაქტორი	≥ 2	ძუძუს კიბო პირველი ხარისხის ნათესავებში
წინამორბედი გეთილოვისებიანი სიმსივნე	4-5	ატიპიური ჰიპერპლაზია
ერთ-ერთი ძუძუს კიბო	>4	
სოციოეკონომიკური ჯაზფი	2	
პვება	1.5	ნაჯერი ცხიმების ჭარბი მიღება
წონა:		
მენოპაუზამდე	0.7	სხეულის მასის ინდექსი >35
მენოპაუზის შემდეგ	2	სხეულის მასის ინდექსი >35
ალკოჰოლი	1.3	ჭარბი მიღება
იონიზირებული რადიაცია	3	ახალგაზრდა ქალების რადიაციული დასხივება
ჰორმონების მიღება ეგზოგენურად:		

ორალური კონტრაცეპტივები	1.24	ხანგრძლივი მიღება
ჰორმონული ჩანაცვლებითი თერაპია	1.35	გრძელვადიანი მიღება ≥ 10 წელი
დიეთილსტილბესტროლი	2	გამოყენება ფეხმიმობის პერიოდში

ინგლისში ძუძუს კიბოს განვითარების რისკი გადანაწილდა შემდეგნაირად (Perkins E. A., Small B. J., Balducci L., 2007) (იხ. ცხ. 2):

ცხრილი 2. ძუძუს კიბოს განვითარების რისკი ასაკის მიხედვით

25 წლამდე	15,000 შემთხვევაზე 1
30 წლამდე	1,900 შემთხვევაზე 1
40 წლამდე	200 შემთხვევაზე 1
50 წლამდე	50 შემთხვევაზე 1
60 წლამდე	23 შემთხვევაზე 1
განვითარების რისკი 70 წლამდე	15 შემთხვევაზე 1
განვითარების რისკი 80 წლამდე	11 შემთხვევაზე 1
განვითარების რისკი 85 წლამდე	10 შემთხვევაზე 1

ძუძუს კიბოს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ასაკი (Brinton L. A., Devesa S. S., 1996; Key T. J., Verkasalo P. K., Banks E., 2001).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ასაკის მატებასთან ერთად მატულობს ძუძუს კიბოს განვითარების რისკიც.

მამაკაცებს აღენიშნებათ ძუძუს კიბოს განვითარების გაცილებით დაბალი რისკი (დაახლოებით 1,08 მამაკაცი 100 000 შემთხვევაზე), მაგრამ აქაც აღინიშნება შემთხვევათა მატების ტენდენცია (Giordano L., Sharon H., Cohen D.

S., Buzdar A. U., Perkins G., Hortobagyi G. N., 2004). პროგნოზი მამკაცებში, I სტადიის შემთხვევაშიც კი, უფრო მძიმეა ქალებთან შედარებით (Armando E. Giuliano, 2006).

ესტროგენების მაღალი დონე სისხლში ასოცირებულია ძუძუს კიბოს განვითარების მაღალ რისკთან. გარკვეული მოვლენები, რომლებიც ზრდიან ენდოგენური ესტროგენების ექსპოზიციას (უშვილობა, გვიანი პირველი მშობიარობა, ძუძუთი კვებაზე უარის თქმა, ნაადრევი მენარქე და გვიანი მენოპაუზა), განაპირობებენ ძუძუს კიბოს განვითარების მაღალ რისკს მთელი ცხოვრების მანძილზე (Yager J. D., Davidson N. E., 2006).

მრავალრიცხოვანმა კვლევებმა ცხადყო, რომ პირველი მშობიარობა ნაადრევ ასაკში, ბევრი შვილი (დაახლოებით 7%-ით შემცირებული რისკი ყოველ შვილზე) და ძუძუთი კვება (4%-ით შემცირებული რისკი ძუძუთი კვებით ყოველ წელზე) კორელირებს ძუძუს კიბოს შემცირებულ რისკთან (Byers T., Graham S., Rzepka T., Marshall J., 1985).

დიდ ბრიტანეთში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების მეტა-ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალებს, რომლებიც დებულობდნენ ჰორმონულ ჩანაცვლებით თერაპიას მენოპაუზის შემდეგ 5 წლის განმავლობაში, აღენიშნებოდათ ძუძუს კიბოს განვითარების გარკვეული რისკი (Rebbeck T., Timothy R., Kauff N. D., Domchek S. M., 2009). თუმცა მენოპაუზური სიმპტომების სამკურნალოდ ჰორმონების მოკლევადიანმა მიღებამ ძუძუს კიბოს განვითარების რისკზე ზეგავლენა არ იქონია, ან იმოქმედა მცირედ (Rebbeck T., Timothy R., Kauff N. D., Domchek S. M., 2009).

ძუძუს კეთილთვისებიან სიმსივნეებში ნაადრევ ეტაპებზე პაციენტების მცირე ჯგუფში აღმოჩენილ იქნა მცირე რაოდენობით ერ.

შემდგომ May-Levin F. და თანაავტორებმა (1977) 47-დან 6 შემთხვევაში აღმოაჩინეს ერ ძუძუს კეთილთვისებიან სიმსივნეში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მაპროლიფერებული კეთილთვისებიანი ერ „+“ სიმსივნეები პოტენციურად ავთვისებიანი არიან.

ძუძუს კიბოს მიმდინარეობაში მენოპაუზას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი.

Martin P. და თანაავტორებმა (1978), გამოიკვლიეს რა პრემენოპაუზის პერიოდში მყოფი 84 პაციენტის ფიბროადენომა, დაადგინეს 11 შემთხვევაში ინტენსიური უჯრედოვანი პროლიფერაცია, ერ-ის მაღალი შემცველობით (20 ფმოლ-ზე მეტი 1 მგ ცილაზე), ხოლო 49 სიმსივნეში – დაბალი შემცველობით

(<7 ფმლ/მგ). 24 შემთხვევაში ერ-ის შემცველობამ ფიბროადენომებში შეადგინა 7–20 ფმლ/მგ. Allegra J. და თანაავტორებმა (1979) აღმოაჩინეს ერ (>10 ფმლ/მგ) კეთილთვისებიან სიმსივნეებში, ძირითადად ფიბროადენომებში, 55 პაციენტიდან 21-ში (38%), 46 პაციენტიდან 20-ში (43%).

პრემენოპაუზაში სიმსივნეები ერ „+“ იყო, მაშინ როდესაც 9-დან 8 პაციენტს მენოპაუზაში აღმოაჩნდათ ერ „–“ სიმსივნე (<10 ფმლ/მგ).

ლ. ს. ბასალიკი და თანაავტორების თანახმად (1982), ერ-ის შემცველობა ძუძუს კეთილთვისებიან სიმსივნეებში (>10 ფმლ/მგ) 41-დან 21 პაციენტს აღენიშნა (51%). ყურადღებას იქცვს პაციენტების ჯგუფი პროლიფერაციული ფიბროზულ-კისტოზური მასტოპატიით, რომლებთაც ერ-ის დონე უფრო მაღალი აღმოაჩნდათ ($34,4 \pm 10,8$ ფმლ/მგ), ვიდრე ფიბროადენომით ($27,3 \pm 3,7$ ფმლ/მგ) და არაპროლიფერაციული ფიბროზულ-კისტოზური მასტოპატიით ($19,5 \pm 3,2$ ფმლ/მგ) დასწებოვნებულ პირებს.

Lippman M. (1980) აღნიშნავს, რომ ფიბროადენომები შეიცავს ერ-ის უფრო მაღალ კონცენტრაციას, ვიდრე ძუძუს კეთილთვისებიანი სიმსივნეების ფიბროზულ-კისტოზური ტიპები. Jacquimier J. და თანაავტორებმა (1982) ფიბროზულ-კისტოზური მასტოპატიის ნიმუშებში 27-დან 17-ში (63%) აღმოაჩინეს ერ კონცენტრაციით >5 ფმლ/მგ. ერ საშუალოდ შეადგენდა $14,5 \pm 14$ ფმლ/მგ ფიბროადენომებში და ეპითელურ-ჰიპერპლასტიურ სიმსივნეებში იზრდებოდა $31,5 \pm 23$ ფმლ/მგ-დე.

Kutten F. და თანაავტორები (1981) განსაზღვრავდნენ ერ-ის კონცენტრაციას 46 პრემენოპაუზაში მყოფი პაციენტის ფიბროადენომის ციტოპლაზმაში და ბირთვებში მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა ფაზაში და აღნიშნეს ერ-ის კონცენტრაციის გარკვეული ზრდა ფოლიკულურ ფაზაში, ასევე საგრძნობი ზრდა პრეოვულატორულ და შემცირება ლუთეინურ ფაზაში.

კეთილთვისებიანი სიმსივნეები უფრო ხშირად გვხვდება პრემენოპაუზაში მყოფ ქალებში, სადაც ენდოგენურ ესტროგენებს შეუძლიათ დაიკავონ ესტროგენ-რეცეპტორთან შემაკავშირებელი ადგილები (Byrne C., Connolly J. L., et al., 2000).

ავთვისებიანი სიმსივნეები შეიცავენ ერ-ს კონცენტრაციით 0–2500 ფმლ/მგ (McGuire W. et al., 1975; Leclercq G., Heuson J., 1977]) ხოლო სხვა გამოკვლევების თანახმად – 5000 ფმლ/მგ-დე (Wittliff J., 1984). ასეთი დიაპაზონი განპირობებულია სიმსივნის უჯრედოვანი შემცველობის

მორფოლოგიური და ბიოლოგიური პეტეროგენურობით და გარკვეული ტიპის უჯრედების სხვადასხვა ესტროგენ შემაკავშირებელი სიდიდით.

ერ-ის დონე შეიძლება ვარირებდეს ერთიდაიგივე სიმსივნის სხვადასხვა ლოკუსში. ერ-ის ყველაზე მაღალი კონცენტრაციები აღმოჩენილ იქნა სიმსივნის პერიფერიულ ნაწილში, შედარებით ცენტრალურ ნაწილთან (Allegra J. et al., 1980). ზოგი მკვლევარის თანახმად დიდი ზომის სიმსივნეები უფრი ხშირად ერ „–“ არიან და ერ-ის დონე შეადგენს <10 ფმოლ/მგ (King D. et al., 1980), ხოლო სხვები ამ კორელაციას არ აღნიშნავენ (Leake R. et al., 1981). ასევე არ იქნა აღმოჩენილი კავშირი რეცეპტორულ სტატუსსა და სიმსივნის ლოკალიზაციას შორის (McGuire W. et al., 1975).

ერ-ის რაოდენობა ძუძუს კიბოს სიმსივნეებში დამოკიდებულია სიმსივნის პროლიფერაციის შედარებით სიჩქარესთან და უჯრედული ციკლის ფაზასთან. Meyer J. და Lee J. (1980) მონაცემებით, სიმსივნეებს ერ-ის მაღალი კონცენტრაციით გააჩნიათ გაცილებით ნაკლები უჯრედები S-ფაზაში, ვიდრე ერ „–“ სიმსივნეებს ან სიმსივნეები ერ-ის მცირე შემცველობით. დაბალმაპროლიფირებელ უჯრედებში 2-ჯერ მეტი ერ იქნა აღმოჩენილი, ვიდრე სწრაფადმაპროლიფირებელ იჯრედებში (Nerukar A. A., Desal S. B., Baraniya J., Yadav J., Chinoy R. F., 1997).

ბოლო წლების გამოკვლევების თანახმად, ერ-ის არსებობა ძუძუს კიბოს უჯრედებში კავშირშია სიმსივნის პისტოლოგიურ ტიპთან და მის დიფერენციაციის ხარისხთან (Sterner H. et al., 1980; Rasmussen B. et al., 1981), ამიტომ ერ შეიძლება გამოიყენებულ იქნეს, როგორც ძუძუს სიმსივნეების დიფერენცირების ხარისხის ბიოქიმიური მარკერი.

ზოგი ავტორის თანახმად ძუძუს ინფილტრაციული კარცინომები (წილაკოვანი და ტუბულური) შეიცავენ უფრო მეტ ერ-ს, ვიდრე სადინოვანი და მედულური კარცინომები (Rasmussen B. et al., 1981; Skinner J. et al., 1982).

Lesser M. და თანაავტორებმა (1981), გამოიკვლიეს რა 784 პაციენტის სიმსივნე, დაადგინეს, რომ სადინოვანი ინფილტრაციული სიმსივნეების 57% შეიცავდა ერ-ს, წილაკოვანი – 49%, ხოლო მედულური ტიპის სიმსივნეები მხოლოდ 9%. Sterner H. და თანაავტორებმა (1980) ინგაზიური კიბოს 342 ნიმუშში აღმოაჩინეს კორელაცია ერ-ის სტატუსსა და სიმსივნის დიფერენცირებას შორის (მაღალდიფერენცირებულ სიმსივნეებში ერ-ის

კონცენტრაციის მატება და არარსებობა, ან ერ-ის უმნიშვნელო დონეები დაბალდიფერენცირებულ სიმსივნეებში). Hanselman R. და Genton C. აღმოაჩინეს ერ-ის კონცენტრაციის შემცირება სიმსივნის ავთვისებიანობის ხარისხის ზრდასთან ერთად.

ერ-ის შეჯერება სიმსივნის პისტოლოგიურ აღნაგობასთან და ძუძუს კიბოს დიფერენცირების ხარისხთან ჩაუტარდა 153 პაციენტს. სიმსივნეების 80% კლასიფიცირებულ იქნა როგორც სადინროვანი ინფილტრაციული კიბო ავთვისებიანობის სხვადასხვა ხარისხით. სიმსივნეები ავთვისებიანობის III ხარისხით ხასიათდებოდნენ ერ-ის დაბალი კონცენტრაციით და ერ-ის შემცველი სიმსივნეების პროცენტულობის შემცირებით (McKeown-Eyssen G. E., Rogers-Melamed I., Clarke E. A.m, 1985; Elledge R. M., Osborne C. K., 1997).

მიღებული მონაცემები მეტყველებს ძუძუს ერ-ის სტატუსის და უჯრედების დიფერენცირების ხარისხის ურთიერთკავშირზე, რამაც აჩვენა, რომ ერ „-“ სიმსივნეები ხასიათდებიან უფრო მაღალი პროლიფერატიული ინდექსით, ვიდრე ერ „+“.

მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ მენოპაუზაში მყოფი პაციენტების ძუძუს პირველადი სიმსივნეები შეიცავენ ერ-ის უფრო მაღალ კონცენტრაციებს და უფრო ხშირად არიან ერ „+“, ვიდრე მენოპაუზის პერიოდამდე არსებული სიმსივნეები (Бассалык Л. С. и др., 1982; Цырлина Е.Ф. и др., 1984; McGuire W. et al., 1978; Seibert K., Lippman M., 1982).

Seibert K. და ონაავტორებმა (1982) გამოავლინეს, რომ პრემენოპაუზაში მყოფი 775 პაციენტის სიმსივნიდან 425 ერ „+“ იყო, ხოლო მენოპაუზაში მყოფი პაციენტების 70% შეიცავდა ერ-ს (1464 პაციენტიდან 1032-ს). ერ-ის კონცენტრაცია სიმსივნეებში პრემენოპაუზისას გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მენოპაუზის პერიოდში. Saez S. და Chouvet C. (1984) მონაცემების მიხედვით ერ-ის კონცენტრაცია შეადგენს 40 ± 10 ფმოლ 1 მგ ცილაზე პრემენოპაუზის პერიოდში მყოფ პაციენტებში (108 ადამიანი) და 148 ± 22 ფმოლ/მგ – მენოპაუზის პერიოდში მყოფ პაციენტებში (289 ადამიანი).

მენოპაუზაში მყოფი პაციენტების სიმსივნეები უფრო ხშირად ერ „+“ იყო და მათში ერ-ის დონე უფრო მაღალია, ვიდრე პრემენოპაუზის პერიოდში მყოფი პაციენტების სიმსივნეებში (იხ. ცხ. 3).

**ცხრილი 3. ერ-ის შემცველობა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებში
პაციენტების მენოპაუზის სტატუსის გათვალისწინებით**

სტატუსი	პაციენტების რაოდენობა	ერ-ის რაოდენობა	
		%	ფმოლ1 მგცილაზე (M+m)
პრემენოპაუზა	626	59	38,9±2,1
კლიმაქსი	285	71	60,5±5,1
მენოპაუზა წელზე	<5		
მენოპაუზა წელზე	>5	485	69
			65,2±5,2

Elwood E. და Godolphin W. (1980) განსაზღვრეს 735 პაციენტის სარძევე ჯირკვლის პირველადი სიმსივნეების ერ-ის სტატუსი მენოპაუზის დროს და მენოპაუზის პერიოდის დაწყებამდე და აღმოაჩინეს კავშირი ერ-ის სტატუსსა და ასაკს შორის. 25-35 წლის პაციენტების 43% აღენიშნებოდათ ერ „+“ სიმსივნე, ხოლო 60-74 წლის პაციენტების 80% – ერ „+“ სიმსივნე. 40-45 წლის ასაკში ერ „+“ სიმსივნეების რაოდენობა მენოპაუზის პერიოდში და მის დაწყებამდე არ განსხვავდებოდა (70% და 68% შესაბამისად). Osborn C. და თანაავტორები (1980) ასევე აღნიშნავდნენ ერ „+“ სიმსივნეების პროცენტის მატებას პაციენტების ასაკის შესაბანისად. Saez S. და Chouvet C. (1984) აღნიშნეს ერ-ის კონცენტრაციის ზრდა ასაკის მატებასთან ერთად იმ პაციენტების სიმსივნეებში, რომლებიც იმყოფებიან მენოპაუზაში: 148±84 ფმოლ/მგ-დან (50-59 წლის 84 პაციენტი) 179±48 ფმოლ/მგ-დე (60-69 წლის 113 პაციენტი) და 230±100 ფმოლ/მგ-დე (70-79 წლის 62 პაციენტი).

Clark G. და თანაავტორები (1984) განსაზღვრავდნენ ერ-ის კონცენტრაციას ძუძუს სიმსივნის 2977 ბიოპტატში მენოპაუზის სტატუსთან, ასაკთან და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების არსებობასთან დამოკიდებულებით. მათემათიკური ანალიზის შედეგად ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ ერ-ის კონცენტრაცია და ერ „+“ სიმსივნეების პროცენტი პაციენტების ასაკზე უფრო არის დამოკიდებული, ვიდრე მენოპაუზის სტატუსზე და სხვა კრიტერიუმებზე.

ასე და ამგვარად, ბოლო წლებში ბევრმა მკვლევარმა აჩვენა, რომ ერ-ის კონცენტრაციის მატება ძუძუს სიმსივნეებში და ერ „+“ სიმსივნეების რაოდენობა ძირითადათ დაკავშირებულია პაციენტების ასაკთან მენოპაუზის პერიოდში და მის დაწყებამდე. ვარაუდობენ, რომ ამ სიმსივნეების ერ-ის სტატუსის შეცვლა სხვადასხვა ასაკის პაციენტებში არა მარტო ცირკულირებადი, არამედ ქსოვილოვანი ესტრადიოლის კონცენტრაციის სხვაობის შედეგია.

არსებობს მონაცემები სისხლში მოცირკულირე სტეროიდული ჰორმონების, ესტროგენების, ზეგავლენის შესახებ ერ-ის შემცველობაზე სამიზნე ქსოვილებში (Pollow K. et al., 1977) და ძუძუს სიმსივნეებში (Maass H. et al., 1975; Vihko R at al., 1980; Heise E., Gorlich M., 1982; Saez S., Chouvet C., 1984).

ერთიანი აზრი სიმსივნეებში ერ-ის დონის შეცვლის მიზეზების შესახებ მენსტრუალურ ფუნქციასთან დაკავშირებით არ არსებობს. მკვლევარების უმეტესობა ვარაუდობს, რომ ესტროგენების რაოდენობის ციკლური ცვლილება პრემენპაუზაში მყოფ პაციენტებში მოქმედებს სიმსივნეებში ერ-ის შემცველობაზე (Saez S., Chouvet C., 1984).

Heise E. და Gorlich M. (1982) აღნიშნავენ ერ-ის ყველაზე მაღალ დონეს ძუძუს სიმსივნეებში მენსტრუალური ციკლის ცოლიკულინის ფაზაში. Saez S. და Chouvet C. (1984) ნაშრომებში აღინიშნება სიმსივნეებში ერ-ის შემცველობის და სისხლში ესტროგენების კონცენტრაციის უმნიშვნელო კორელაცია მენსტრუალური ციკლის განმავლობაში. პრემენპაუზაში მყოფ პაციენტების ერ „+“ სიმსივნეების რაოდენობა ციკლის სამივე ფაზაში მცირდებანსხვავდებოდა, რაც შეადგენდა შესაბამისად 60, 51 და 52%. Vihko R. და თანაავტორების (1980) მონაცემების თანახმად ერ-ის ყველაზე დიდი კონცენტრაცია ძუძუს სიმსივნეებში (>100 ფმლ/მგ) აღინიშნებოდა სისხლში

ესტროგენების დაბალი დონის მქონე პაციენტებში მენსტრუალური ციკლის დამოუკიდებლად.

სისხლში ესტრადიოლის სხვადასხვა კონცენტრაციების გავლენა ძუძუს სიმსივნეებში ერ-ის შემცველობაზე გამოკვლეულ იქნა პრემენოპაუზაში მყოფ 54 პაციენტზე და ძუძუს კიბოთი დაავადებულ მენოპაუზაში მყოფ 72 პაციენტზე (Beral V., Banks E., Reeves G., 2002; Chen C. L., Weiss N. S., Newcomb P., Barlow W., White E., 2002). ესტრადიოლის კონცენტრაციას სისხლში საზღვრავდნენ ერ-ის გამოკვლევასთან ერთად სიმსივნეების ბიოპტატებში. ესტრადიოლის ყველაზე მაღალი დონის ფონზე პრემენოპაუზაში მყოფ პაციენტებში ($\text{ოვულატორული } \text{ფაზა} - 106,9 \pm 18,8 \text{ პგ/მლ}$) ერ-ის დონე სიმსივნეებში დაბალი იყო ($21,4 \pm 5,2 \text{ ფმოლ/მგ}$) ფოლიკულინურ ფაზასთან შედარებით ($45,7 \pm 7,6 \text{ ფმოლ/მგ}$). ერ „+“ სიმსივნეებით დასხებოვნებულ 22 პრემენოპაუზურ პაციენტში ესტრადიოლის კონცენტრაცია სისხლში იყო დაბალი, ვიდრე 32 პაციენტში ერ „-“ სიმსივნეებით ($81,5 \pm 14,6$ და $138 \pm 15,4 \text{ პგ/მლ}$ შესაბამისად) ციკლის ფაზის მიუხედავად. იგივე კანონზომიერება აღინიშნებოდა მენოპაუზაში მყოფ პაციენტებში: ერ „+“ სომსივნეებისას – $45,8 \pm 9,2 \text{ პგ/მლ}$ (38 პაციენტი), ხოლო ერ „-“ სიმსივნეების დროს – $84,5 \pm 19 \text{ პგ/მლ}$ (23 პაციენტი) ესტრადიოლი სისხლში. რეპროდუქციული ასაკის პაციენტებში ერ „+“ სიმსივნეები გამოვლინდა $40,7\%-ში$, ხოლო მენოპაუზაში მყოფ პაციენტებში – $62,3\%-ში$.

ესტროგენები და ერ ავლენებ მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ გავლენას სისხლძარღვთა ტონუსზე (Stevenson J. C., Crook D., Godsland I. F., Collins P., Whitehead M. I., 1994). ადამიანში ჰიპერტენზიის დროს გამოვლენილია ერ-ის ანორმალობა. მრავალი კვლევის მიხედვით დადგენილია ესტროგენების ფიზიოლოგიური როლი ორგანოებზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს “სასქესო ჰორმონების პასუხი” (Stevenson J. C., Crook D., Godsland I. F., Collins P., Whitehead M. I., 1994). ერ გამოვლენილია არა მხოლოდ ძუძუში, ძვლებში და ქალის რეპროდუქციულ სისტემაში, არამედ ღვიძლში, ტვინში და გულსხისხლძარღვთა სისტემაში (Desai S. B., Moonim M. T., Gill A. K., Punia R. S., Naresh K. N., Chinoy R. F., 2000).

ესტროგენების გულსხისხლძარღვთა სისტემაზე ზემოქმედების მექანიზმების აღქმა ბოლო დროს გაფართოვდა და გახდა გასაგები, რომ ესტროგენების ბიოლოგიური ეფექტების სირთულე წარმოადგენს მათი

მოქმედების მექანიზმის შედეგს (Stevenson J. C., Crook D., Godsland I. F., Collins P., Whitehead M. I., 1994).

ესტროგენები არეგულირებენ სახვადასხვა სისტემურ და ცირკულატორულ ფაქტორებს, რაც მოიცავს ლიპიდებს, ანთებით ფაქტორებს, სისხლის შედედების და ანტიშედედების სისტემებს. ესტროგენებს შეუძლიათ იმოქმედონ უშუალოდ გულზე და სისხლძარღვებზე ერ-ის მეშვეობით, რომლებიც განაპირობებენ მოქმედბას გულსისხლძარღვთა სისტემის უჯრედებსა და ქსოვილებზე (Ouyang P., Michosl E., Karas R., 2009).

კლასიკურ გარიანტში ერ წარმოდგენილია როგორც ტრანსკრიპციის ლიგანდაქტივირებული ფაქტორი, რომელიც მდებარეობს უჯრედის ბირთვში და არეგულირებს გენის ექსპრესიას ჰორმონებთან შეკავშირების საპასუხოდ. მოცემული მექანიზმი, რომელსაც ხშირად უწოდებენ გენომურ გზას, შესაძლებელია, საფუძვლად უდევს ესტროგენის გრძელვადიან ეფექტებს, ისეთებს, როგორიც არის ლიპიდების დონეზე და კოაგულაციურ ფაქტორებზე ზემოქმედება (Stierer M., Rosen H., Weber R., Hanak H., Spona J., Tuchler H., 1993).

მოგვიანებით გახდა გასაგები, რომ ერ აწარმოებენ ხანმოკლე, რამდენიმე წუთის განმავლობაში მიმდინარე ეფექტებს, და მიეკუთვნებიან არაგენომურ გზას, რადგან არ არიან დამოკიდებული გენის ექსპრესიის ცვალებადობაზე (Ouyang P., Michosl E., Karas R., 2009).

ესტროგენების ეს ეფექტები განპირობებულია ერ-ის სუბპოპულაციით, რომელიც მდებარეობს უჯრედის მემბრანაზე. ესტროგენის ასეთი არაგენომური მოქმედების ყველაზე შესწავლილ გზას წარმოადგენს ენდოთელიუმის უჯრედის აქტივაცია აზოტის ჟანგის სინთეზაზით, რაც იწვევს არტერიულ ვაზოდილატაციას ესტროგენის გამოყენების საპასუხოდ (Anderson E. 2002).

სიმსიგნის ერ-ის სტატუსის შეცვლის მექანიზმი ესტრადიოლის ზემოქმედების შედეგად შეიძლება აიხსნას იმით, რომ ესტრადიოლი, რომლის კონცენტრაცია რეპროდუქციული ასაკის პაციუნტებში საკმაოდ მაღალია, “იკავებს” ერ-ის დაკავშირების ადგილებს, რაც ხელს უწყობს ერ-ის კომპლექსების ტრანსლოკაციას ბირთვში, რის გამოც ისინი მიუწვდომელი ხდებიან. მენოპაუზის დროს, როდესაც საკვერცხე კარგავს თავის ფუნქციას და სისხლში ეცემა ესტრადიოლის დონე, სიმსიგნებში იზრდება ერ-ის კონცენტრაცია. ზოგი მკვლევარის აზრით, პრემენპაუზაში მყოფი

პაციენტების ესტრადიოლის მაღალი კონცენტრაცია სისხლში უფრო აქვეითებეს რეცეპტორული ცილის სინთეზს, რადგან იკავებს ციტოპლაზმაზური ერ-ის შემაკავშირებელ ადგილებს (Evans R. M., 1998).

უჯრედშიდა ესტრადიოლის კონცენტრაციას შეუძლია იმოქმედოს როგორც ციტოპლაზმური ერ-ის რაოდენობაზე, ასევე ბირთვულ ესტრადიოლ-რეცეპტორულ კომპლექსზე. Fishman J. და თანაავტორებმა (1977), გამოიკვლიერ რა ერ-ის, ესტრონისა და ესტრადიოლის შემცველობა 129 ძუძუს სიმსიგნის ციტოზოლში, აღმოაჩინეს, რომ ესტრადიოლის დონე ერ „+“ სიმსივნეებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ერ „-“ სიმსივნეებში ან ძუძუს ნორმალურ ქსოვილში. ესტრონის და ესტრადიოლის კონცენტრაციების მატება ერ „+“ სიმსივნეების ციტოზოლებში მენოპაუზამდე და მენოპაუზის პერიოდში ასევევ აღნიშნეს Drafta D. და თანაავტორებმა (1983). თუმცა Thorsen T. და თანაავტორებმა (1982) ერ „+“ და ერ „-“ სიმსივნეებში ვერ აღმოაჩინეს ციტოპლაზმის ესტრადიოლის რაოდენობაში სხვაობა. ამ ავტორებს მიაჩნიათ, რომ არა ესტრადიოლის დონე სიმსიგნის უჯრედებში, არამედ სხვა ფაქტორები მოქმედებენ ციტოპლაზმური ერ-ის კონცენტრაციაზე.

ცნობილია, რომ უჯრედშიდა ესტრადიოლის შემცველობა შეიძლება გაიზარდოს პერიფერული სისხლით ტრანსპორტირებადი ესტრადიოლის და მისი ბიოსინთეზის ხარჯზე სხვა სტეროიდებიდან სიმსივნეში (Stierer M., Rosen H., Weber R., Hanak H., Spona J., Tuchler H., 1993). ციტოზოლური ერ-ის დაბალი შემცველობა პრემენოპაუზაში მყოფ პაციენტების სიმსივნეებში ესტროგენების მაღალი კონცენტრაციით სისხლის შრატში, სავარაუდოდ შეიძლება აიხსნას ერ-ის ბლოკირებით ენდოგენური ესტროგენებით. მაგრამ როგორ ავხნათ ერ-ის მაღალი და დაბალი კონცენტრაცია მენოპაუზური პაციენტების სიმსივნეებში სისხლში ერ-ის დაბალი დონის ფონზე? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევებში სიმსივნეში ესტრადიოლი წარმოიქმნება ესტრონის აღდგენის (რომელიც მენოპაუზის დროს წარმოადგენს ძირითად მოცირკულირე ესტროგენს) ან ანდროგენების A რგოლის არომატიზაციის შედეგად, აგრეთვე ესტროგენების კონიუგატების პიდროლიზის შედეგად (Rashid R. K., Gallager H. S., 1984).

ძუძუს კიბოთი დააგადებულ პაციენტთა პორმონო-მეტაბოლურ სტატუსს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიმსიგნის მკურნალობისა და პროგნოზისთვის. ერ-ის შემცველობა და კონცენტრაცია სიმსივნეში მატულობს ასაკთან

ერთად და თავის პიკს აღწევს პოსტმენტაუზურ პერიოდში (Anaise D., 2007). ერთის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ესტროგენის წარმოქმნის უჯრედული მექანიზმები შენარჩუნებულია მალიგნიზაციის მიუხედავად (Anaise D., 2007).

პაციენტებს „ერ „+“ სიმსივნეებით, „ერ „-“ სიმსივნეების მქონე პაციენტებთან შედარებით, აღენიშნებათ უფრო გრძელი ნათელი პერიოდი პირველადი მკურნალობის შემდეგ, შედარებით დიდი ცხოვრების ხანგრძლივობა და რეციდივის შემდგომი უფრო გრძელვადიან ცხოვრების ხანგრძლივობა, მიუხედავად მეტასტაზების გავრცელებისა იღლიის ფოსოში (Anaise D., 2007).

ცნობილია, რომ ორგანიზმის მაკროპარამეტრებიდან, რომლებიც მოქმედებენ ძუძუს კიბოს განვითარებაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წონასა და ლიპიდურ სტატუსს. ისინი მიეკუთვნებიან ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებენ იმუნურ სისტემაზე და ესტროგენების პროდუქციაზე. ხოლო ესტროგენების პროდუქციის მოშლა იწვევს ძუძუს კიბოს განვითარებას (Цырлина Е. В., Гамаюнова В. Б., Порошина Т. Е., 1999; Longecker M. P., Bernstein L., Paganinihill A. et al., 1996). ძუძუს კიბოს გავრცელებაზე აგრეთვე მოქმედებს სისხლის შრატში ლიპიდური ფრაქციების დისხალანსი (პიპერ- და დისლიპოპროტეინემია) (Howson C. P., Kinne D., Wynder E. L., 1986). ლიპიდები და ლიპოპროტეინები მონაწილეობენ იმუნომარეგულირებელი ეფექტების ფორმირებაში, აწარმოებენ ესტროგენების რეცეპტორული შეკავშირების მოდულირებას სამიზნე ქსოვილებში (Lane D. M., Boatman K. K., McConathy W. J., 1995). ამიტომ პაციენტის ორგანიზმის ლიპიდური სტატუსის ცოდნამ, განსაკუთრებით დაავადების საწყის ეტაპზე, შესაძლებელია გარკვეული წვლილი შეიტანოს ძუძუს კიბოს მკურნალობის სტრატეგიაში (Rashid R. K., Gallager H. S., 1984).

ცნობილია, რომ აქტიურად ზრდადი ავთვისევიანი სიმსივნის დროს სისხლში შეიძლება აღინიშნოს ჰიპოქოლესტერინემია და მსლ-ქ და დსლ-ქ დონის დაწევა (Fanelli F. R., Cangiano C., Muscaritoli M., et al., 1995; Kerber J., Pricelius S., Heidrich M., Miller M., 1999). ეს აიხსნება სიმსივნის მიერ ქოლესტერნის შემცველი მეტაბოლიტების აქტიური შთანთქმით მემბრანული სტრუქტურების შენებისთვის აქტიურად ზრდადი ავთვისებიანი უჯრედების მიერ. ამ ფონზე ტბის და მათი წარმოებულების (მონო- და დიგლიცერიდების) დონემ შეიძლება მოიმატოს, რადგან ლიპოლიზური

სიმსივნური სუბსტანციები, შლიან რა ორგანიზმის ცხიმოვან ქსოვილს, ავსებენ მათ ფონდს (Kerber J., Pricelius S., Heidrich M., Miller M., 1999; Allampallam K., Dutt D., Nair C., et al., 2000).

ერთ-ერთი კვლევის თანახმად სქის და ტგ-ის დონე საგრძნობლად მატულობდა ძუძუს ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში, კეთილთვისებიან სიმსივნეებთან შედარებით ($P<0.05$, $P<0.005$) (Essam A. Mady, 2000).

მაგრამ ძუძუს კიბოთი დასწებოვნებული პაციენტების ლიპიდური პროფილი გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, ასეთი პაციენტებისათვის დამახასიათებელია α -ჰოლესტერინის ანუ მსლქის დონის მატება (Boyd N. F., McGuire V., 1990; Moorman P. G., Hulka B. S., Hiatt R. A., et al., 1998). ნაწილობრივ ეს აიხსნება იმით, რომ α -ლიპოპროტეინი შეიძლება სინთეზირდეს ძუძუს კარცინომის უჯრედების მიერ (Hurlimann J., Van Melle G., 1991). ლიტერატურული მონაცემების თანახმად, მსლქის ფრაქციის დონე მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიის დროს როგორც მისი ეფექტურობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, ხოლო მსლქის დონის მატება განიხილოს როგორც არასასურველი პროგნოსტული ფაქტორი (Zorilla E., Hulse M., Hernandez A., Gershberg H., 1988; American Society of Clinical Oncology, 1996).

Essam A. Mady (2001) თანახმად, სქის და ტგ-ის დონე მკვეთრად მატულობდა ძუძუს კიბოს შემთხვევაში, ძუძუს კეთილთვისებიან სიმსივნესთან შედარებით ($P<0.005$, $P<0.05$) და კორელირებდა ესტრადიოლის დონესთან. ამის საფუძველზე გამოითქვა გარაუდი, რომ სიმსივნური ქსოვილის მიერ ლიპიდების შთანთქმა პლაზმიდან კორელირებს ესტრადიოლთან და ლიპიდები წარმოადგენენ ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფატორს.

გიდ-ით გამოწვეული სიკვდილობა ჭარბობს ძუძუს კიბოთი გამოწვეულ სიკვდილობაზე ყველა ასაკის ქალებში (Bernstein L., 1998; Ouyang P., Michol E., Karas R., 2009). კარდიოვასკულური შემთხვევების უმეტესობა ვითარდება პოსტმენპაუზის პერიოდში, საშუალოდ 10 წლით უფრო გვიან, ვიდრე მამაკაცებში, და ეს აიხსნება მენოპაუზამდე ქალის სასქესო ჰორმონების დამაცავი მექანიზმით (Wingo P. A., Calle E. E., McTiernan A.; 2000, Kannel W. B., Wilson P. W., 1995).

ცნობილია, რომ 50-60 წლამდე სქესობრივი სხვაობა ისახება განსაკუთრებით ინტენსიურად და ავადობა ათეროსკლეროზით მკვეთრად პრევალირებს მამაკაცთა პოპულაციაში (Akhress F., Evans A. T., Wang Y., et al., 2003). ამან მიიპყრო მკვლევართა ყურადღება სასქესო პორმონების როლზე ათეროსკლეროზული პროცესის პათოგენეზში. მიღებული მონაცემებით, ქალის სასქესო პორმონები – ესტროგენები – აფერხებებენ ათეროსკლეროზის განვითარებას, რაც დაკავშირებულია პლაზმაში მსლქის შემცველობის მატებასთან (Victor G., Cannon R. O., 1996; Hozumi Y., Kawano M., Miyata M., 1997). მენოპაუზის პერიოდში განვითარებულ ჰიპოესტროგენემიისას აღინიშნება ქოლესტერინის, ქოლესტერინი/ფოსფოლიპიდების კოეფიციენტისა და β -ლოპოროტეინების დონის მატება და, შესაბამისად, იზრდება ათეროსკლეროზის განვითარების რისკი (Victor G., Cannon R. O., 1996). ქალებს კორონარული არტერიების ათეროსკლეროზით ან ნაადრევი ცერებრული ათეროსკლეროზის მოვლენებით სარწმუნოდ აღენიშნებათ ესტროგენების და მათი ფრაქციის ექსკრეციის შემცირება (Akhress F., Evans A. T., Wang Y. et al., 2003).

ესტროგენს შეუძლია მოახდინოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენა გულსისხლძარღვთა სისტემაზე. ერთის მხრივ, მას გააჩნია პოტენციურად დადებით ზემოქმედება ლიპიდებზე: ამცირებს დსლქ, ზრდის მსლქ, აზოტის ოქსიდის მეშვეობით განაპირობებს ვაზოდილატაციას და ხელს უშლის სისხლძარღვების ათეროგენულ დაზიანებას (Victor G., Cannon R. O., 1996). ამავე დროს, ესტროგენები ხასიათდებიან მრავალი თრომბული ეფექტებით: ზრდიან პროთრომბინის და ამცირებენ ანტითრომბინ III-ის დონეს, რითაც ხელს უწყობენ ვენოზური თრომბოემბოლიების განვითარების რისკის ზრდას (Ouyang P., Michosl E., Karas R., 2009).

მენოპაუზა განისაზღვრება როგორც მენსტრუალური პერიოდის ფინალი და გულისხმობს მენსტრუაციის საბოლოოდ შეწყვეტას 1 წლის შემდეგ 1 წლიანი ამენორეისა და საკვერცხების ფოლიკულების ფუნქციის შეწყვეტის შემდეგ (Pasqualini C., Leviel V., Guibert B., Faucon-Biguet N., 1991; Rio G. D., Velardo A., Zizzo G., Avogaro A., Casa L. D., Marrama P., Macdonald I. A., 1994). ბუნებრივი მენოპაუზის მედიანა არის 51 წელი (Lindheim S. R., Legro R.S., Bernstein L., Stanczyk F. Z., Vijod M. A., Presser S. C., Lobo R. A., 1992).

პერიმენოპაუზა არის პერიოდი ტრანზიციისა რეპროდუქტიული ფაზის დამთავრების მენოპაუზის 1 წლის შემდეგ, გრძელდება 2–8 წლის მანძილზე და დაკავშირებულია მენსტრუალურ ირეგულაციასთან, კლიმაქტიულ სინდრომთან, როგორებიცაა ალები, ოფლიანობა, ძილის დარღვევა, ვაგიალური სიმშრალე და ჰორმონული ცვლილება (Zorilla E., Hulse M., Hernandez A., Gershberg H., 1998). პოსტმენოპაუზა განისაზღვრება როგორც მენოპაუზის დასაწყისი (Fregly M. J., Thrasher T. N., 1977).

ესტროგენები ანტიათეროსკლეროზული მოქმედებით ხასიათდებიან, კერძოდ, ზრდიან მსლქ და ამცირებენ დსლქ (ტბ-ის დონე მატულობს). არსებობდა აზრი, რომ ქალის სასქესო ჰორმონების გამოყენება საკერცხეების ენდოკრინული ფუნქციის რეგულირების პერიოდში ხელს შეუშლის ათეროსკლეროზის განვითარების პროცესს (Сметник В. П., Коновалова В. Н., 2009).

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ესტროგენებს მენოპაუზის შემდეგ, როდესაც მატულობს გულსისხლძარღვთა შემთხვევების რაოდენობა (Chae C. U., Manson J. E., 2004; Ouyang P., Michos E. D., Karas R. H., 2009).

ლიპოპროტეინების ცვლილება მენოპაუზის პერიოდში შესწავლილია ხანგრძლივი კვლევების შედეგად, რის თანახმადაც აღინიშნება დსლქ-ის მომატება და მსლქ-ის დონის არამუდმივობა (Proudler A. J., Ahmed A. H., Crook D., Fogelman I., Rymer J. M., Stevenson J. C., 1995).

დღევანდელ დღეს არსებობს ჰიპოთეზა, რომ პოსტმენოპაუზურ თერაპიას ესტროგენებით, შეუძლია შეამციროს გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკი (Grodstein F., Stampfer M., 1995; Mendelsohn M. E., Karas R. H., 1999; Mikkola T. S., Clarkson T. B., 2002).

ესტროგენი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს კარდიოვასკულურ რისკზე და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიათეროგენული თერაპიის ჩატარების დროს (Brinton E. A., 1996). ათეროსკლეროზის ცნობილი მოდელის გამოყენებით მაიმუნებში Clarkson და თანაავტ. (1996) დაადგინეს, რომ პერიორალური კონიუგირებული ცხენის ესტროგენების ანტიათეროგენული ეფექტი მაიმუნებში გლინდება მხოლოდ მინიმალურად გამოხატული ათეროსკლეროზული პროცესის დროს. იგივე შედეგები მიღებულ იქნა

ბოცვრებზე და მღრღნელებზე გამოკვლევების ჩატარებისას (Ouyang P., Michosl E., Karas R., 2009).

კვლევაში Women's Health Initiative (WHI) ნაჩვენები იყო, რომ ესტროგენებისა და პლაცებოს მიღების ფონზე მწვავე ინფარქტის განვითარების სიხშირე საკმაოდ შედარებითია. ამასთან ერთად ასაკობრივი ჯგუფების მეორადმა ანალიზმა აჩვენა, რომ შედეგები უფრო ახალგაზრდა ქალებში განსხვავდებოდა ერთმანთისგან (Anderson G.L., Limacher M., Assaf A. R., et al.; 2004, Hsia J., Langer R. D., Manson J. E., et al., 2006).

WHI კვლევის დეტალური დოზაინი გამოქვეყნებული იყო წინა წლებში (Anderson G. L., Limacher M., Assaf A. R., et al., 2004; Stefanick M. L., Cochrane B. B., Hsia J., Barad D. H., Liu J. H., Johnson S. R., 2003). ძირითადი იდეა მდებარეობდა იმაში, რომ ამ რანდომიზირებულ კვლევაში ჩართული იყვნენ 50-79 წლის ქალები ჰისტერექტომით. ძირითად ჯგუფში პაციენტები დებულობდნენ ცხენის კონიუგირებულ ესტროგენს, საკონტროლოში – პლაცებოს.

ამ კვლევის პრინციპიალურად ახალ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ესტროგენები 50-59 წლის ქალებში კარდიოპროტექტული მოქმდებით ხასიათდებიან. ფაქტიურად, ესტროგენი ამცირებს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს და აცილებს თავიდან რევასკულარიზაციის აუცილებლობას. გარდა ამისა, გააჩნია თვისება გააუმჯობესოს სიხლის მიმოქცევა არა მარტო მიოკარდიუმში, არამედ სხვა ქსოვილებშიც (Manson J. E., Bassuk S. S., Harman M., et al., 2006; Chae C. U., Manson J. E., 2004). თუმცა ამ პრობლემის უფრო მკაფიო გაგებისთვის, აუცილებელია ჩატარდეს მთელი რიგი გამოკვლევები დიდი რაოდენობის პაციენტის მონაწილეობით.

მეოთს კლინიკის სპეციალისტების აზრით, ესტროგენების მიღება პოსტმენპაუზის პერიოდში ამცირებს ათეროსკლეროზული ფოლაქების რაოდენობას და კალციფიკაციას კორონარულ სისხლძარღვებში. კორონარული სისხლძარღვების აუტოფსიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ იმ პაციენტებს, რომლებიც დებულობდნენ ესტროგენებს კორონარული კალციუმი, ფოლაქები და კოეფიციენტი კალციუმი/ფოლაქი იყო სარწმუნოდ დაბალი შედარებით მათთან, ვინც არ იტარებდა ჩანაცვლებით თერაპიას ესტროგენებით (Clin J., 2002).

ფრემინგემის კვლევის შედეგად (1976) დადგინდა, რომ კარდიოვასკულურ შემთხვევათა რიცხვი პოსტმენპაუზის პერიოდში მყოფ ქალებში 2.6-ჯერ

მატულობს პრემენოპაუზასთან შედარებით (Ouyang P., Michos E., Karas R., 2009, 2009).

არსებობდა აზრი, რომ სისხლის პლაზმის ლიპოპროტეინები ხელს უწყობენ გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკის ზრდას, რადგან მენოპაუზის შემდეგ აღინიშნებოდა დსლქ-ის და ტგ-ის დონის მატება. აქედან გამომდინარე, ჩანაცვლებით თერაპიას ესტროგენებით უნდა შეემცირა ლიპიდების არასასურველი ზემოქმედება, თუმცა კარდიოპროტექტული თვისების მქონე მსლქ-ის დონეც მცირდებოდა (Waters D. D., Alderman E. L., Hsia J., et al., 2002).

კარდიოვასკულური ავადობის ასაკობრივი ზრდა პრე- და პოსტმენოპაუზაში აღინიშნება ჩანაცვლებითი თერაპიის მოქმედების მიუხედავად (Godsland I. F., 2001). მიღებული მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ ესტროგენების შემცირება მენოპაუზის დროს დაკავშირებულია გულსისხლძარღვთა ავადობის მომატებულ რისკთან და უფრო მეტად გამოხატულია პრემენოპაუზასთან შედარებით (Robinson J. C., Folsom A. R., Nabulsi A. A., et al., 1996; Godsland I. F., 2001).

ცხოველებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ესტროგენები ავლენენ ვაზოდილატაციურ, ანთების საწინააღმდეგო და ანტიათეროგენულ თვისებებს, დადებითად მოქმედებენ ლიპიდურ პროფილზე (Anderson G. L., Manson J., Wallace R., et al., 2003). რანდომიზირებულ კვლევებში, რომლებიც ჩატარდა ბოცვრებზე ოვარიუქტომიის შემდგომი ჰიპერჟოლესტერინემიის პირობებში ესტრადიოლი მნიშვნელოვნად ამცირებდა ათეროსკლეროზის პროგრესირებას შედარებით მათთან, ვისაც აღენიშნებოდათ პორმონების დაბალი დონე. თაგვებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ესტრადიოლი მნიშვნელოვნად ამცირებდა სისხლძარღვთა კედლის დაზიანებას და ზრდიდა ვაზოპროტექტორულ ეფექტს (Anderson G. L., Manson J., Wallace R., et al., 2003). მაიმუნებში ოვარიუქტომიის შემდგომ 17- β -ესტრადიოლი ან ცხენის კონიუგირებული ესტროგენი ამცირებდა კორონარული სისხლძარღვების ათეროსკლეროზს 50–72%-ით საკონტროლო ცხოველებთან შედარებით (Anderson G. L., Limacher M., Assaf A. R., et al., 2004).

ცხოველებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა ზოგადად დაამტკიცა ჩანაცვლებითი თერაპიის მნიშვნელობა მენოპაუზის დადგომის შემდეგ (Anderson G. L., Manson J., Wallace R., et al., 2003). გარდა ამისა, ჩანაცვლებითი

თერაპიის მნიშვნელობა ჩანს მთელი რიგი შერჩევითად კონტროლირებადი კვლევების შედეგად (Akhrrass F., Evans A. T., Wang Y., et al., 2003). მათ უმეტესობაში შეინიშნება გულსისხლძარღვთა დაავადებების შემცირების ტენდენცია (Beral V., Banks E., Reeves G., 2002). მიუხედავად ამისა, დიდ შერჩევითად კონტროლირებად კვლევებში ჰორმონულ თერაპიასა და მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევების შემცირებას შორის არსებითი კავშირი არ გამოვლენილა (Ouyang P., Michosl E., Karas R., 2009].

კვლევაში Cardiovascular Health Study მონაწილეობდნენ ქალები 65 წელს ზემოთ, რომლებიც დებულობდნენ ესტროგენს. ამ კვლევის შედეგად აღინიშნა სუბკლინიკური ავადობის დაბალი სიხშირე (Mendelsohn M. E., Karas R. H., 1999).

უფრო მასშტაბური კვლევის, Nurses's Health Study, შედეგად, სადაც მონაწილეობდა 70.000 ასიმპტომური ქალი, რომლებიც იტარებდნენ ჩანაცვლებით თერაპიას, გამოვლინდა კარდიოვასკულური შემთხვევებისა და ზოგადი სიკვდილობის შემცირება შედარებით მათთან, ვინც ამ მკურნალობას არ იტარებდა (Anderson G. L., Limacher M., Assaf A. R., et al., 2004). მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქალების უმეტესობას ჩანაცვლებით თერაპია დაეწყო პრემენპაუზის პერიოდში და კვლევის დასაწყისში მათი გულსისხლძარღვთა დაავადებების შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

რადგან ათეროსკლეროზი პროგრესირებს ესტროგენების დეფიციტის ფონზე, ლოგიკურია, რომ ნაადრევი ჩანაცვლებითი თერაპია ესტროგენებით გამოიღებს შედეგს პრემენპაუზის პერიოდში მყოფ ქალებში (Anderson G. L., Limacher M., Assaf A. R., et al., 2004). ქალთა უმეტესობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ისეთ კვლევებში, როგორიცაა Nurses's Health Study, სადაც ესტროგენის დაცვითი მოქმედება გამოვლენილა, ჩანაცვლებით თერაპიას იწყებდნენ მენოპაუზის პერიოდში (Anderson G. L., Limacher M., Assaf A. R., et al., 2004). კვლევა WHI-ში მონაწილეობას დებულობდა პრემენპაუზის პერიოდში მყოფ ქალთა არასაკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ ნებისმიერი კარდიოვასკულური დაცვითი მექანიზმი ყოფილიყო თვალსაჩინო (Hulley S., Grady D., Bush T. et al., 2003). ქალის საშუალო ასაკმა მენოპაუზის შემდეგ, როდესაც ათეროსკლეროზული პროცესები იჩენს თავს, შეადგინა 10 წელი.

ცხოველებზე ჩატარებული კვლევების შედეგად არ დადასტურდა ის ფაქტი, რომ თერაპიის დაწყების დრო არის კრიტიკული ფაქტორი, აგრეთვე

არ გამოვლინდა ესტროგენების გამოყენების ეფექტურობა იმ ცხოველებში, რომელთაც აღენიშნებოდათ არტერიების დაზიანება მკურნალობის დაწყებამდე (Anderson G. L., Manson J., Wallace R., et al., 2003). ცხოველებზე ამ გამოკვლევების შედეგები შეესაბამება კვლევა Heart and Estrogen/Progestin replacement study მიღებული მეორადი პროფილაქტიკის მონაცემებს.

კვლევა Cardiovascular Health Study-ს თანახმად ესტროგენებით ჩანაცვლებითმა თერაპიამ პოსტმენოპაუზის პერიოდში მყოფ ქალებში გულსისხლძარღვთა დაავადებების კლინიკური ან სუბკლინიკური გამოვლინებებით ახალგაზრდა პაციენტებთან შედარებით გამოიწვია მხრის არტერიის ვაზოდილატაცია. ამ მონაცემებმა გვიჩვენა, რომ ესტროგენების დადებითი ზემოქმედება შესაძლებელია გამოვლინდეს მხლოდ იმ სისხლძარღვებში, სადაც არ აღინიშნება ათეროსკლეროზული პროცესი (Ouyang P., Michos E., Karas R., 2009).

არსებობდა აზრი გრძელვადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის ეფექტურობის შესახებ, მაგრამ ეს არ იქნა დადასტურებული შვიდწლიანი კვლევის შედეგად (Ouyang P., Michos E., Karas R., 2009)..

დიდ რანდომიზირებულ კვლევა WHI-ში დებულობდა მონაწილეობას 16608 პაციენტი ინტაქტური საშვილოსნოთი, რომლებიც დაარანდომიზირეს ცხენის კონიუგირებული ესტროგენის და მედოქსიპროਜესტერონ აცეტატის ან პლაცებოს მისაღებად 5-6 წლის მანძილზე (Hulley S., Grady D., Bush T. et al., 2003). კვლევა ნაადრევად იქნა შეწყვეტილი ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე ძუძუს კიბოს განვითარების რისკის ზრდის გამო. აგრეთვე არ გამოვლენილა არანაირი დადებითი ეფექტი გულსისხლძარღვთა სისტემაზე.

კვლევაში, სადაც 10739 ქალი ჰისტორიექტომიით რანდომიზირებულ იქნა ცხენის კონიუგირებული ესტროგენის ან პლაცებოს მისაღებად, გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ აგრეთვე არ გამოვლენილა არანაირი დადებითი ეფექტი (Ouyang P., Michos E., Karas R., 2009).

მიმდინარე რანდომიზირებული კლინიკური გამოკვლევები მხარს უჭერენ AHA (American Heart Association) და ACC (American Cardiovascular College) რეკომენდაციებს, რომლის თანახმად არ არის მიზანშეწონილი ჩანაცვლებითი თერაპიის გამოყენება გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის.

გამოყენებული მასალა და კვლევის მეთოდები

კვლევა ჩატარდა ა. ლგამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მამოლოგიის განყოფილებაში ძუძუს კიბოთი დაავადებული კონტინგენტის შერჩევისათვის, თბილისის კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – „თერაპიის ეროვნულ ცენტრში“ – ამონარჩევი პაციენტების კლინიკური შესწავლისთვის და ალ. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინსტიტუტში პისტოლოგიური გამოკვლევისთვის.

ა. ლგამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში რეტროსპექტულად შევისწავლეთ ძუძუს კიბოთი დაავადებული მდედრობითი სქესის 1063 ავადმყოფობის ისტორია. ისტორიების შესწავლა ხდებოდა 1999–2001 წწ. საარქივო მასალიდან.

ალ. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინსტიტუტში გამოვიკვლიეთ ძუძუს კიბოს გამო ოპერაციულად მოცილებული 60 შემთხვევა, რომელთაგან ყველა წარმოადგენდა პოსტოპერაციულ მასალას.

ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – „თერაპიის ეროვნულ ცენტრში“ – შერჩეულ იქნა 18 პაციენტი საკონტროლო ჯგუფისთვის.

პაციენტების შესწავლა ასაკობრივ ასპექტში ხდებოდა გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის კიგვის კლასიფიკაციის მიხედვით: I ჯგუფი – ახალგაზრდა და მოწიფეული ასაკის მქონე პაციენტები (20–44 წწ); II ჯგუფი – შუახნის ასაკის პაციენტები (45–59 წწ); III ჯგუფი – ხანდაზმული ასაკის პაციენტები (60–79 წწ).

ძუძუს კიბო დადასტურებული იყო ანამნეზით, კლინიკური მონაცემებით, მამოგრაფიული გამოკვლევით, პოსტოპერაციული პისტოპათოლოგიური გამოკვლევით, ზოგ შემთხვევაში ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსითა და კომპიუტერული ტომოგრაფიით.

კიბოს პისტოლოგიური ფორმებისა და ავთვისებიანობის ხარისხის დადგენა ხდებოდა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ძუძუს სიმსივნეების პისტოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით (WHO- World Health Organization Classification of Tumors, 2003).

ავთვისებიანობის ხარისხის შეფასებისას მხედველობაში ვიდებდით სიმსივნურ ქსოვილში მიღაკების ჩამოყალიბების ტენდენციას, პიპერქრომატოზსა და მიტოზებს, ბირთვების არაერთგვაროვნებას, ზომის, ფორმის და შედებვის ინტენსივობის მიხედვით (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4. ძუძუს კიბო ავთვისებიანობის ხარისხის მიხედვით

ქულების რაოდენობა	1	2	3
მიღაკების ჩამოყალიბების ტენდენცია	მკაფიო	ზომიერი	უმნიშვნელო, ან არ აღინიშნება
პიპერქრომატოზი და მიტოზები	იშვიათი მხედველობის ველში	ორი, სამი პიპერქრომატული ბირთვი და მიტოზი მხედველობის ველში	ორი, სამი და მეტი მხედველობის ველში
ბირთვების არაერთგვაროვნება ზომის, ფორმის და შედებვის ინტენსივობით	ერთგვაროვანი	ზომიერი მრავალფეროვნება	გამოხატული პლეომორფიზმი

ცხრ. 1-დან გამომდინარე, თუ სამივე კრიტერიუმის ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 3-5 ქულას სიმსივნე დაბალი ავთვისებიანობისაა (ავთვისებიანობის I ხარისხი – G1), 6-7 ქულა მიუთითებს ავთვისებიანობის საშუალო დონეზე (ავთვისებიანობის II ხარისხი – G2), ხოლო 8-9 ქულა – მაღალ ავთვისებიანობაზე (ავთვისებიანობის III ხარისხი – G3).

ასევე საჭიროა გათვალისწინებულ იყოს ფიბროზის ხარისხი, ლიმფოიდური და პლაზმოციტური ინფილტრაცია, ექსტრამამარტულ ქსოვილში სიმსივნური უჯრედების ინვაზია, მათი სისხლძარღვებში და ლიმფურ კვანძებში შეჭრა, მეტასტაზების განვითარება.

მასალის ფიქსაცია ხდებოდა 10% ნეიტრალურ ფორმალინში და კარნუას საფიქსაციო ნარევში. ნაჭრების ნაწილის ჩაყალიბება ხდებოდა პარაფინში, ნაწილის – ცელოიდინში. მასალა ჩაყალიბებული პარაფინში, 4-5 მკმ სისქის სერიული ანათლების მისაღებად, იჭრებოდა როტაციულ მიკროტომზე,

ცელოიდინში ჩაყალიბებული მასალა იჭრებოდა მარხილიან მიკროტომზე, სისქით 5-6 მკმ.

შველა შემთხვევაში ანათლები იღებებოდა პემატოქსილინი/ეოზინითა და პიკროფუქსინით ვან გიზონის წესით.

ერ-ის სტატუსი განისაზღვრა ლ. ს. ბასალიკის მოდიფიცირებული მეთოდით. 100-700 მგ გაყინული ბიოფსიური მასალა ქუცმაცდებოდა ფაიფურის ჭურჭელში, რომელშიც მოთავსებული იყო თხევადი აზოტი. შემდეგ ემატებოდა ბუფერი შეფარდებით 1:6 (tris-HCl ph 7,4 –10, edta–1,5 მმ, დიტიოტრეიტოლ – 0,5მმ+10% გლიცერინი). 5–10 წთ შემდეგ გქსტრაქციის შედეგად მიღებულ იქნა პომოგენატი, რომლის ცენტრიფუგირებით 105000გ 1 სთ-ში მიიღებოდა ციტოზოლი. ლოურის მეთოდით ციტოზოლის მეშვეობით განისაზღვრებოდა ცილა და მის მეშვეობით რეცეპტორები.

ლიპიდები გაზომილ იქნა სისხლის შრატში Janway – 4500 სპექტროფოტომეტრით უზმოდ. საერთო ქოლესტერინი (სქ) და ტრიგლიცერიდები (ტგ) – ენზიმური მეთოდით. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინი (მსლქ), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინი (დსლქ), ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ქოლესტერინი (ძდსლქ) – პრეციპიტაციის შემდეგ BIOLABO France რეაქტივების გამოყენებით.

კვლევის შედეგები შეტანილ იქნა Microsoft Office-ის Excell-ის სტატისტიკური პროგრამის მონაცემთა ბაზაში და დამუშავდა SPSS-11,5 პროგრამის სტატისტიკური პაკეტის გამოყენებით. მონაცემები წარმოდგენილია საშუალო მნიშვნელობა \pm სტანდარტული გადახრა ($M \pm SD$) სახით. რაოდენობრივი უწყვეტი სიდიდეების შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა სტიუდენტის t კრიტერიუმი. სარწმუნოების კოეფიციენტი განისაზღვრებოდა, როგორც $p < 0,05$. კორელაცია ტესტირდებოდა Pearson-ის მიხედვით. სარწმუნოება გამოითვლებოდა t -სტატისტიკით ორ სხვადასხვა საშუალოსთვის და F -სტატისტიკისთვის.

დანართი – საპუთარი მასალა

ერ „+“ სტატუსის მქონე პაციენტთა ჯგუფი

N	გვარი, სახელი	ერ „+“	ასაკი	სქ	დსლე	მსლე	ძღსლე	ტბ	აი	დიაგნოზი
1	ზაალიშვილი ლუდმილა	88.6	51	131.6	66.23	42.57	22.8	114	2.1	მარჯ. ძ. ინტრადუქტ. კარც. $T_1N_0M_0$
2	ლიპარიაშვილი ნანა	22.2	42	168.5	125.3	51	35.6	178	1.8	მარჯ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
3	ალავერდაშვილი მზია	31.9	52	212	122.4	58	31.6	158	2.6	მარცხ. ძ. მაინფ. ფიბროზ. კარც. $T_2N_1M_0$
4	დავითაშვილი დოდო	48.6	49	158	51.5	64.4	42.1	210.5	3.6	მარჯ. ძ. მაინფ. ფიბროზ. კარც. TN_1M_0
5	ლელუშაური ლიანა	56.4	46	155	96	31	28	144	4	მარცხ. ძ. მაინფ. ფიბროზ. კარც. $T_2N_0M_1$
6	გოგობერიშვილი მანანა	11.6	56	166.4	97.4	46	23	115	2.6	მარჯვ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$
7	შალუტაშვილი ლაურა	25.8	45	168	82	46.6	28.7	117	3.3	მარჯვ. ძ. კარც. $T_2N_0M_0$
8	გაგუა გულო	47.6	46	151	99	62	28	180	1.4	მარჯ. ძ. კარც. $T_2N_1M_0$
9	მინდორაშვილი მანანა	52.4	39	188	80	31	42.2	180	4.2	მარც. ძ. მედულური კიბო $T_2N_1M_0$
10	ოგანესიანი ლუიზა	20.5	45	136	102	53	33.1	155	2.6	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$
11	მუსაევა ლიანა	12.2	51	131.6	66.23	42.57	22.8	114	2.1	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$
12	ნადარეიშვილი ნ.კ.	18.6	42	168.5	125.3	51	35.6	178	1.8	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
13	მამედოვა სოფია	46.7	52	212	122.4	58	31.6	158	2.6	მარჯვ. ძ. მაინფ. კარც. $T_1N_1M_0$
14	ბიბილაშვილი	22.5	49	158	51.5	60.1	42.1	210.5	3.6	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$

	ნუნუ										
15	ბილიხოძე თინა	18.2	46	155	96	31	28	144	4	სინ; კარც. $T_1N_0M_0$	
16	ბაზიშვილი ნანა	27.8	56	166.4	97.4	46	23	115	2.6	მარჯვ. ძ. პეჯეტის დაავადება, $T_1N_0M_0$	
17	ბერიაშვილი ნათელა	31.2	45	168	82	46.6	28.7	117	3.3	მარცხ. ძ. ფიბროზ. კარც. $T_2N_1M_0$	
18	გალსტიანი დიანა	38.4	40	160.3	100.7	55.3	33.7	137	2.2	მარცხ. ძ. ინტრადუქტ. კარც. მასტოპათ. ფონზე $T_2N_0M_0$	
19	ჭიკაიძე ნათელა	34.8	51	131.6	66.23	42.57	22.8	114	2.1	მარცხ.ძ.მაინფ.ფიბ.კარც. $T_1N_0M_0$	
20	ტატიშვილი ნანა	36.4	42	168.5	125.3	51	35.6	178	1.8	მარცხ.ძ.მაინფ. კიბო $T_2N_1M_0$	
21	მეტონიძე ნანული	37.4	52	212	122.4	58	31.6	158	2.6	მარჯვ.ძ.მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$	
22	ცეიფურიშვილი ირინა	32.5	49	158	51.5	67	42.1	210.5	3.6	მარჯვ. ძ. პეჯეტის დაავადება $T_2N_0M_0$	
23	გიგაური ირინა	18.2	46	155	96	31	28	144	4	მარჯვ.ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$	
24	ინაშვილი დალი	17.8	56	166.4	97.4	46	23	115	2.6	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$	
25	ოქროჯანაშვილი ლენა	31.2	45	168	82	46.6	28.7	117	3.3	მარცხ.ძ.მაინფ.ფიბ.კარც. $T_2N_0M_0$	
26	ალიევა ნაინა	38.4	40	160.3	100.7	55.3	33.7	137	2.2	მარჯ. ძ. კიბო $T_2N_1M_0$	
27	მუმლაძე მარინე	20	39	193	79	43.6	22.5	162	2.6	მარცხ. ძ. კარც. $T_2N_1M_0$	
28	ჯიქია რუსულანი	45	46	151	99	62	28	180	1.4	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$	
29	სადისოვა ნარინა	28.6	39	188	80	31	42.2	180	4.2	მარჯ.ძ. მაინფ. კარც. $T_1N_0M_0$	
30	კერქევლიძე მანანა	47.4	45	136	102	53	33.1	155	2.6	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$	
31	შავგულიძე ნანული	22.4	43	182	96	96	27.05	135.25	1.71	მარცხ.ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$	
32	ლობჟანიძე ეგატერინე	92.5	45	196	112.8	112.8	31.56	157.79	2.75	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$	
33	შანავა ინგა	54.6	42	186	176.7	176.7	32.25	161.26	4.5	მარცხ. ძ. კარცინომა. $T_2N_0M_0$	

ერ „-“ სტატუსის მქონე პაციენტთა ჯგუფი

N	გვარი, სახელი	ერ,-“	ასაკი	სქ	დსლქ	მსლქ	ძღსლქ	ტბ	აი	დიაგნოზი
1	ტიზლარიშვილი გალია	8.2	63	298	191.5	64.4	42.1	210.5	5.4	მარც. მაინფ. მედულური კარც. $T_2N_1M_0$
2	მაკასევა მარინა	7.2	55	191	103	50	38	192	2.8	მარჯ. ძ. მაინფ. კიბო $T_2N_1M_0$
3	ლვინიანიძე გულნარა	7.5	44	178	120.4	34.8	22.8	114	4.1	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_1N_0M_0$
4	რეხვიაშვილი იზოლდა	6.4	41	152	68	61	23	117	1.5	მარჯ. ძ. კარც. $T_2N_0M_0$
5	ხერხეულიძე ირინა	8.6	64	201	114.7	42.5	43.8	219	3.7	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
6	გოგიჩაიშვილი მაია	9.6	40	200.2	95.3	60	29	145	2.7	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_1N_0M_0$
7	მაყაშვილი ჟუჟუნა	8.2	45	178	91.7	42.5	43.8	219	3.2	მარჯ. ძ. კარც. $T_2N_1M_0$
8	კარახანიანი მარინა	6.5	47	210	120.1	43.3	35	177	2.2	მარჯ. ძ. კიბო $T_2N_1M_0$
9	გამსახურდია ჯილდა	7.4	43	155	96	35	22.6	114	2.8	მარჯ. ძ. კარც. $T_2N_1M_0$
10	მეტონიძე ნანული	5.8	52	212	123	58	31	157	2.6	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
11	გლურჯიძე ეპატერინე	6.5	33	189	125.7	38.7	24.6	123	3.9	მარჯ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$
12	ზოიძე თინათინი	9.1	48	155	183.2	44	23	114	3.6	მაინფ. ძ. კარც. $T_1N_0M_0$
13	აკოფიანი ლილია	8.4	50	214	140.3	57	28.6	123.6	3.3	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
14	ძიმცეიშვილი ელზა	8.5	38	147	81.6	42.6	22.8	114	2.5	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
15	ნაყოფია ლელა	7.1	42	181.9	116.5	42.6	22.8	114	3.3	მარჯ. ძ. მაინფ. კარც. $T_1N_0M_0$
16	ცერცვაძე ნაზი	5.4	55	177.7	128	42.2	35	110	3	მარც. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
17	ლობჯანიძე ვიკო	5.3	51	182	90.8	58	33.2	166	2.1	მარც. ძ. მაინფ. ინტრადუქტ.

										კარცინომა $T_1N_1M_0$
18	ბერია მანანა	6.6	50	265	145	38.7	31.56	135.25	2.75	მარჯვ. ძ. მაინფ. ფიბროზ. კარც. $T_1N_1M_0$
19	გრიგორიანი ხათუნა	6.5	45	192	96	65	32.25	154.2	4.5	მარჯვ. ძ. მაინფ. ფიბროზ. კარც. $T_2N_1M_0$
20	კაქულია მარინა	8.3	40	200	130	70.3	40.2	161.26	2.06	მარცხ. ძ. მედულური კარც. $T_1N_0M_0$.
21	ნადიმაშვილი ქრისტინე	7.3	46	179	125	42.35	32.08	151.2	1.59	მარცხ. ძ. არამაინფილტრ. წილაკოვანი კარც. $T_0N_1M_0$
22	ჯიქია ანა	8.9	49	220	106.7	114.9	30.35	160.4	5.3	მარჯვ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
23	გურგენიძე ნანა	6.1	40	165	110	52.02	35	149	0.5	მარცხ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_0M_0$
24	მამულაშვილი ქეთევან	4.8	42	210	88	46.44	42	61.39	1.4	ინფილტრაც.. წილაკოვანი კარც. $T_1N_0M_0$
25	ნოზაძე მანანა	5.5	52	188	176	65.7	38.6	155	2.9	მარჯვ. ძ. მაინფ. კარც. $T_2N_1M_0$
26	კობახიძე ქეთინო	7.4	34	163	164	69.66	23.5	70	3.4	მარჯვ. ძ. მაინფ. (ფიბროზ. სოლიდური შენების) კარც. $T_1N_0M_0$
27	აბრამიშვილი რუსულანი	9.2	37	179	103	40.2	48.6	78	3	მარცხ. ძ. მედულური ტიპის კარც. $T_2N_1M_0$

საკონტროლო ჯგუფი

N	გვარი, სახელი	ასაქი	სქ	დსლქ	მსლქ	ძდსლქ	ტბ	ათ
1	ძარჯუა მანანა	46	180.5	96	57.4	27.05	135.25	1.71
2	მდინარაძე ლია	46	197.4	112.8	53.02	31.56	157.79	2.75
3	ჯანელიძე მარინა	47	185.1	176.7	46.44	32.25	161.26	4.5
4	სახვაძე ლელა	48	190.2	105.9	65.79	29.48	147.39	2.06
5	ჯაფარიძე მარინა	48	181.9	80.16	69.66	32.08	160.4	1.59
6	მანჯავიძე ეკატერინე	49	185.8	174.8	38.7	30.35	151.73	5.3
7	გიორგაძე სოფო	45	150.93	78.394	42.35	30.186	61.39	0.925275
8	ლექიშვილი თამარი	46	162.54	68.432	61.6	32.508	154.35	1.375205
9	თოდრია ლელა	46	172	98.9	38.7	34.4	70.16	0.73913
10	ჩიხლაძე ნონა	48	189.6	85.88	65.8	37.92	79	1.207732
11	არუთინოვა ლიანა	46	150.93	47.214	73.53	30.186	119.27	2.196721
12	ავალიანი	45	189.63	109.354	42.35	37.926	78.93	0.734093
13	შანშიაშვილი ცისანა	46	313.5	135.9	114.9	62.7	135.25	1.306843
14	კენჭიაშვილი ლამარა	46	197.4	104.9	53.02	39.48	157.79	0.881792
15	ლალიძე ლამარა	47	255.4	157.88	46.44	51.08	161.26	0.617684
16	ბერიძე რუსუდანი	48	201.2	95.17	65.79	40.24	147.39	1.114112
17	ბეზარაშვილი მაყვალა	48	181.9	75.86	69.66	36.38	160.4	1.397838
18	რიგიშვილი ვენერა	49	243.8	156.34	38.7	48.76	151.73	0.559422

საპუთარ ბამოკვლევათა შედებები

რეტროსპექტულად შევისწავლეთ ძუძუს კიბოთი დაავადებული მდედრობითი სქესის 1063 ავადმყოფობის ისტორია. ჩვენი მასალის მიხედვით (იხ. ცხრ. 5), I ჯგუფში – ახალგაზრდა და მოწიფული ასაკის პაციენტები – (20–44 წწ) – განაწილდა 632 პაციენტი, II ჯგუფში – შუახნის პაციენტები – (45–59 წწ) – 359 პაციენტი, და III ჯგუფში – ხანდაზმული პაციენტები – (60–79 წწ) – 72 პაციენტი. I ჯგუფიდან ერ „+“ სიმსივნეების მქონე პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 429 პაციენტი (67,9%), ხოლო ერ „-“ სიმსივნეებით დასწებოვნებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 203 შემთხვევა (32,1%). II ჯგუფში პაციენტების გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად: ერ „+“ პაციენტები – 306 შემთხვევა (85,2%), ერ „-“ პაციენტები – 53 (14,8%). III ჯგუფის ერ „+“ პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 57 შემთხვევა (79,2%), ხოლო ერ „-“ პაციენტების რაოდენობა იყო 15 (20,8%).

ცხრილი 5. ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ერ-ის სტატუსი ასაკობრივ ასპექტში

ჯგუფი	ასაკი	ერ „+“		ერ „-“	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%
I – 632	20-44	429	67,9	203	32,1
II – 359	45-59	306	85,2	53	14,8
III – 72	60-79	57	79,2	15	20,8

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციის მიხედვით (WHO-World Health Organization Classification of Tumors, 2003). ძუძუს კიბოს ფორმები ჩვენს მასალაში გადანაწილდა შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 6)

ცხრილი 6. ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმების განაწილება ერ-ის სტატუსისა და ასაკის მიხედვით

ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმები	ერ „+”			ერ „-”		
	20-44	45-59	60-79	20-44	45-59	60-79
არაინვაზიური სადინროვანი კარცინომა	4.4	19	—	10.7	13	—
არაინვაზიური წილაკოვანი კარცინომა	2	2	—	11.8	6	—
ინვაზიური სადინროვანი კარცინომა	65	45	44,2	56,5	60	19
ინვაზიური წილაკოვანი კარცინომა	12	5,4	31,9	21	21	1,3
ინვაზიური მედულური კარცინომა	12	12,3	—	—	—	—
ინვაზიური პაპილური კარცინომა	0,9	—	—	—	—	—
ინვაზიური ადენოკისტოზური კარცინომა	0,9	—	—	—	—	—
სკირი	2,6	12,3	—	—	—	—
კომედოკარცინომა	—	—	0,1	—	—	—
პეჩების დაავადება	—	4	—	—	—	—

როგორც ცხრილი 6-დან ვხედავთ, ერ „+” არაინვაზიური სადინროვანი კარცინომა უფრო ხშირად გვხვდება 45-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში — შემთხვევათა 19%, 20-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში მან შეადგინა 4,4%, ხოლო 60-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში საერთოდ არ შეგვხვედრია. ერ „-“ არაინვაზიური სადინროვანი კარცინომის გავრცელება კვლავ ჭარბობდა 45-59

წლის ასაკობრივ ჯგუფში – 13%, ხოლო 20-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში მან შეადგინა 10,7%. ერ „+” არაინვაზიური წილაკოვანი კარცინომის გავრცელება ერთნაირია 20-44 წლის და 45-59 წლის პაციენტებში – 2%. 60-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში იგი არ შეგვხვედრია. ერ „–” არაინვაზიური წილაკოვანი კარცინომის შემთხვევაში პაციენტთა 11,8% ახალგაზრდა და მოწიფული პაციენტები იყვნენ. პაციენტთა 6% შუახნის ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს შეადგენდა. ისევე, როგორც ერ „+” სომსივნეების შემთხვევაში, ერ „–” არაინვაზიური წილაკოვანი კარცინომა ხანდაზმულ პაციენტებში არ შეგვხვედრია, 19% იგი 60-74 წლის პაციენტებს აღენიშნათ.

ერ „+” ინვაზიური წილაკოვანი კარცინომის ყველაზე დიდი ნაწილი (31,9%) აღინიშნა 60-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში. მეორე ადგილზეა 20-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი (12%) და შედარებით იშვიათია 45-59 წლის ქალებში – 5,4%. ერ „–” ინვაზიური წილაკოვანი კარცინომის ერთნაირი რაოდენობა (21%) აღინიშნა 20-44 და 45-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო ხანდაზმულ პაციენტებში იგი მხოლოდ 1,3% შეგვხდა.

ერ „+” ინვაზიური მედულური კარცინომა 20-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა შემთხვევათა 12%-ში, 45-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 12,3% შემთხვევაში და საერთოდ არ შეგვხვედრია 60-79 წლის პაციენტებში. ერ „–” ინვაზიური მედულური კარცინომის შემთხვევები საერთოდ არ აღნიშნულა.

ერ „+” ინვაზიური პაპილური კარცინომა ვლინდება მხოლოდ ახალგაზრდა და მოწიფულ პაციენტებში (0,9%), ისევე როგორც ერ „+” ინვაზიური აღენოკისტოზური კარცინომა (0,9%).

სკირი უმეტესწილად წარმოჩნდა 45-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში (12,3%). 20-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში იგი აღინიშნა 2,6% და ყველა შემთხვევა ერ „+” სტატუსთან იყო დაკავშირებული (4,6%).

კომედოკარცინომა შეგვხდა მხოლოდ 60-79 წლის ასაკში (0,1%) და ერ „+” სტატუსს ატარებდა.

პეჯეტის დაავადება აღინიშნა მხოლოდ შუახნის ასაკის პაციენტებში (4%) და ატარებდა ერ „+” ხასიათს.

ჩვენ აგრეთვე შევისწავლეთ ურთიერთკავშირი ერ, ასაკსა და ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიურ ფორმებს შორის (იხ. ცხრ. 7). როგორც ცხ. 7-დან წარმოჩნდება, ერ „+” სტატუსის მქონე ახალგაზრდა და მოწიფული პაციენტების ასაკობრივ ჯგუფში (20-44 წწ) ყველაზე ხშირად გვხვდება

ინგაზიური სადინოვანი კარცინომა, სადაც მან შეადგინა 65,5% (277 შემთხვევა). ამ ჯგუფში ძუძუს კიბოს სხვა ჰისტოლოგიური ფორმები შემდეგნაირად გადანაწილდა: არაინგაზიური სადინოვანი კარცინომა – 4,4% (19 შემთხვევა), არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომა – 2% (9 შემთხვევა), ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა – 12% (52 შემთხვევა), ინგაზიური მედულური კარცინომა – 12% (52 შემთხვევა), ინგაზიური პაპილური კარცინომა – 0,9% (4 შემთხვევა), ინგაზიური ადენოკისტოზური კარცინომა – 0,9% (4 შემთხვევა), სკირი – 2,6% (12 შემთხვევა), კომედოკარცინომა და პეჯეტის დაავადება არ შეგვხვედრია.

ერ „–“ სტატუსის მქონე 20-44 წლის პაციენტების ასაკობრივ ჯგუფში ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმების გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად: არაინგაზიური სადინოვანი კარცინომა – 10,7% (22 შემთხვევა), არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომა – 11,8% (24 შემთხვევა), ინგაზიური სადინოვანი კარცინომა – 56,5% (115 შემთხვევა), ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა – 21% (42 შემთხვევა). ინგაზიური მედულური კარცინომის, ინგაზიური პაპილური კარცინომის, ინგაზიური ადენოკისტოზური კარცინომის, სკირის, კომედოკარცინომისა და პეჯეტის დაავადების შემთხვევები არ აღნიშნულა.

ცხრილი 7. ერ-ის და ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმების ურთიერთკავშირი ახალგაზრდა და მოწიფულ პაციენტებში (20-44 წწ)

ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმები	ერ „+“		ერ „–“	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
არაინგაზიური სადინოვანი კარცინომა	19	4.4	22	10.7
არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომა	9	2	24	11.8
ინგაზიური სადინოვანი კარცინომა	277	65	115	56.5
ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა	52	12	42	21
ინგაზიური მედულური კარცინომა	52	12	–	–
ინგაზიური პაპილური	4	0.9	–	–

კარცინომა				
ინგაზიური ადენოკისტოზური კარცინომა	4	0.9	-	-
სკირი	12	2.6	-	-
კომედოკარცინომა	-	-	-	-
პეჯეტის დაავადება	-	-	-	-

შუახნის ასაკის (45-59 წწ) პაციენტებში ერ „+” ძუძუს კიბოს შემთხვევები გადანაწილდა შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 8): არაინვაზიური სადინროვანი კარცინომა – 19% (55 შემთხვევა), არაინვაზიური წილაკოვანი კარცინომა – 2% (6 შემთხვევა), ინვაზიური სადინროვანი კარცინომა – 45% (140 შემთხვევა), ინვაზიური წილაკოვანი კარცინომა – 5,4% (17 შემთხვევა), ინვაზიური მედულური კარცინომა – 12,3% (38 შემთხვევა), სკირი – 12,3% (38 შემთხვევა), პეჯეტის დაავადება – 4% (12 შემთხვევა). ინვაზიური პაპილური კარცინომის, ინვაზიური ადენოკისტოზური კარცინომისა და კომედოკარცინომის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

ერ „-“ სტატუსის მქონე 45-59 წლის პაციენტების ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში ძუძუს კიბოს ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ინვაზიური სადინროვანი კარცინომა, სადაც მან შეადგინა 60% (32 შემთხვევა). ძუძუს კიბოს სხვა ფორმების გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად: არაინვაზიური სადინროვანი კარცინომა – 13% (7 შემთხვევა), არაინვაზიური წილაკოვანი კარცინომა – 6% (3 შემთხვევა), ინვაზიური წილაკოვანი კარცინომა – 21% (11 შემთხვევა). ინვაზიური მედულური კარცინომის, ინვაზიური პაპილური კარცინომის, ინვაზიური ადენოკისტოზური კარცინომის, სკირის, კომედოკარცინომისა და პეჯეტის დაავადების შემთხვევი არ აღნიშნულა.

ცხრილი 8. ერ-ის და ძუძუს კიბოს პისტოლოგიური ფორმების ურთიერთკავშირი შუახნის პაციენტებში (45-59 წწ)

ძუძუს კიბოს პისტოლოგიური ფორმები	ერ „+”		ერ „-”	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
არაინგაზიური სადინროვანი კარცინომა	55	19	7	13
არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომა	6	2	3	6
ინგაზიური სადინროვანი კარცინომა	140	45	32	60
ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა	17	5.4	11	21
ინგაზიური მედულური კარცინომა	38	12.3	—	—
ინგაზიური პაპილური კარცინომა	—		—	—
ინგაზიური ადენოკისტოზური კარცინომა	—		—	—
სკორი	38	12.3	—	—
კომედოკარცინომა	—		—	—
ჰექატის დაავადება	12	4	—	—

ერ „+” სტატუსის მქონე ხანდაზმული პაციენტების ასაკობრივ ჯგუფში (60-79 წწ) (იხ. ცხრ. 9) შეგვხვდა მხოლოდ ინგაზიური სადინროვანი კარცინომა, სადაც მან შეადგინა 44,2% (32 შემთხვევა), ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა – 31,9% (23 შემთხვევა) და კომედოკარცინომა – 0,1% (2 შემთხვევა). არაინგაზიური სადინროვანი კარცინომის, არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომის, ინგაზიური მედულური კარცინომის, ინგაზიური პაპილური კარცინომის, ინგაზიური ადენკისტოზური კარცინომის, სკირისა და პეჯეტის დაავადების შემთხვევები არ აღნიშნულა.

ერ „-” სტატუსის მქონე 60-79 წლის პაციენტების ასაკობრივ ჯგუფში შეგვხვდა მხოლოდ ინგაზიური სადინროვანი კარცინომა – 19% (14 პაციენტი) და ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა – 1,3% (1 შემთხვევა). ძუძუს კიბოს დანარჩენი ჰისტოლოგიური ფორმები – არაინგაზიური სადინროვანი კარცინომა, არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომა, ინგაზიური მედულური კარცინომა, ინგაზიური პაპილური კარცინომა, ინგაზიური ადენკისტოზური კარცინომა, სკირი, კომედოკარცინომა და პეჯეტის დაავადება არ აღნიშნულა.

ცხრილი 9. ერ-ის და ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმების ურთიერთკავშირი ხანდაზმულ პაციენტებში (60-79 წწ)

ძუძუს კიბოს ჰისტოლოგიური ფორმები	ერ „+”		ერ „-”	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
არაინგაზიური სადინროვანი კარცინომა	—	—	—	—
არაინგაზიური წილაკოვანი კარცინომა	—	—	—	—
ინგაზიური სადინროვანი კარცინომა	32	44,2	14	19
ინგაზიური წილაკოვანი კარცინომა	23	31,9	1	1,3
ინგაზიური მედულური კარცინომა	—	—	—	—
ინგაზიური პაპილური კარცინომა	—	—	—	—
ინგაზიური ადენკისტოზური კარცინომა	—	—	—	—
სკირი	—	—	—	—
კომედოკარცინომა	2	0,1	—	—
პეჯეტის დაავადება	—	—	—	—

ჩვენს მიერ აგრეთვე შესწავლილ იქნა ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები ერ-ის სტატუსის გათვალისწინებით (დიაგრამა 1).

პაციენტები გადანაწილებულ იყვნენ ერ „+” (I ჯგუფი) და ერ „-” (II ჯგუფი) ჯგუფებში. ჯგუფებს შორის ერ-ის სტატუსის მაჩვენებლების შედარებისას აღინიშნა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება: $32,1 \pm 15,2$ fmol/mg და $7,9 \pm 3,2$ fmol/mg შესაბამისად ($p < 0,001$).


I და II ჯგუფის მაჩვენებლების შედარებისას გამოვლინდა: სქ – 169, $\pm 21,6$ მგ/დლ და $190,9 \pm 48,4$ მგ/დლ ($p < 0,05$); დსლქ – 95, $\pm 23,9$ მგ/დლ და $118,7 \pm 33,9$ მგ/დლ ($p < 0,03$); ძდსლქ – $28,0 \pm 5,9$ მგ/დლ და $33,6 \pm 7,6$ მგ/დლ ($p < 0,05$), და ტრიგლიცერიდები (ტგ) – $138,6 \pm 30,4$ მგ/დლ და $164,3 \pm 38,2$ მგ/დლ ($p < 0,05$) შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება (ცხ. №4), რაც ათეროგენული ლიპიდების მაღალი მაჩვენებლებითაა განპირობებული.

რაც შეეხბა მსლქის მაჩვენებლებს, მათ შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ დაფიქსირებულა: ($48,2 \pm 10,6$ მგ/დლ და $48,4 \pm 10,4$ მგ/დლ).

სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა აგრეთვე არ აღნიშნულა აი-ის შორის ($3 \pm 0,9$ და $3 \pm 1,25$ შესაბამისად).

გამოკვლევის დროს ჯგუფებს შორის ასაკობრივი სხვაობა სტატისტიკურად არ გამოვლენილა ($44,8 \pm 6,0$ და $49,2 \pm 7,8$ შესაბამისად).

დიაგრამა 1. ძებუს კიბოთი დაავადებულ ქალთა ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები ერ-ის სტატუსის გათვალისწინებით



S1 – ერ „+“ სიმსივნეების მქონე პაციენტთა ჯგუფი;

S2 – ერ „-“ სიმსივნეების მქონე პაციენტთა ჯგუფი;

ER – ესტროგენ რეცეპტორები; AGE – ასაკი; TC – საერთო ქოლესტერინი;

LDL -C – დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი; HDL-C –

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი; TG – ტრიგლიცერიდები;

IA – ათეროგენობის ინდექსი; p – სარწმუნო სხვაობა.

შესწავლით 60 შემთხვევიდან პისტოგენეზის მიხედვით 40 სადინოვანი კარცინომაა, 6 – წილაკოვანი კარცინომა, 4 – მედულური კარცინომა, 6 – ფიბროზული კიბო (სკირი), 2 – პეჯეტის დაავდება.

ყველა პაციენტი გადავანაშილეთ 2 ჯგუფად ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ძუძუს სიმსივნეების პისტოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით (WHO- World Health Organization Classification of Tumors, 2003). I ჯგუფში შევიდა 28 პაციენტი ავთვისებიანობის I ხარისხით – G₁, II ჯგუფში – 32 პაციენტი ავთვისებიანობის II ხარისხით – G₂.

გარდა ამისა, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა 60 პაციენტის ლიპიდური სპექტრი ძუძუს კიბოს სტადიურობასთან მიმართებაში (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 10. ლიპიდური ცვლის მაჩვენებლები ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტებში

ჯგუფი	ასაკი	სქ	დსლქ	მსლქ	ძდსლქ	ტბ	აი
I	45,8±5,4	165,7±23,0	48,7±10,5	91,8±21,3	31±6,8	154,2±30,2	2,7±0,8
II	47,7±8,4	190±35,0	48,4±9,6	117±32,4	30,6±7,8	148,8±40,7	3,1±0,9
P	>0,5	<0,05	>0,7	<0,02	>0,5	>0,5	>0,5

სქ – საერთო ქოლესტერინი (მგ/დლ), დსლქ – დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი (მგ/დლ), მსლქ – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი (მგ/დლ), ძდსლქ – ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი (მგ/დლ), ტბ – ტრიგლიცერიდები (მგ/დლ), აი – ათეროზების ინდექსი, p – სარწმუნო სხვაობა.

ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა აღინიშნა სქ ($165,7\pm23,0$ მგ/დლ და $190\pm35,0$ მგ/დლ შესაბამისად ($p<0,05$) და მსლქ ($91,8\pm21,3$ მგ/დლ და $117\pm32,4$ მგ/დლ შესაბამისად ($p<0,02$) შორის.

ლიპიდური სპექტრის დანარჩენ მაჩვენებლებს შორის (მსლქ – $48,7\pm10,5$ მგ/დლ და $48,4\pm9,6$ მგ/დლ, ძდსლქ – $31\pm6,8$ მგ/დლ და $30,6\pm7,8$ მგ/დლ, ტბ – $154,2\pm30,2$ მგ/დლ და $148,8\pm40,7$ მგ/დლ, აი – $2,7\pm0,8$ და $3,1\pm0,9$) სტატისტიკური სხვაობა არ გამოვლენილა.

მიღებული მონაცემების ანალიზი

თანამედროვე მედიცინის ორი დიდი პრობლემის – ძუძუს კიბოსა და ათეროსკლეროზის – ურთიერთმიმართების საკითხის კვლევა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს ამ ორი დაავადების მიერ გამოწვეული მაღალი ინვალიდობისა და ლეტალობის გამო (Bernstein L., 1998; Симонова Л. И., Герман В. З., Пушкиарь С., 2002).

ცნობილია ამ ორი დაავადების საერთო რისკ-ფაქტორების მნიშვნელობა მათ გენეზისა და განვითარებაში. ამ რისკ-ფაქტორების სტრუქტურაში ცენტრალური ადგილი უკავია ასაკს (Brinton L. A., Devesa S. S., 1996, Key T. J., Verkasalo P. K., Banks E., 2001).

ასაკის მატებასთან ერთად მატულობს ძუძუს კიბოს განვითარების რისკიც. ყოველწლიურად აღინიშნება 14 000 მეტი ლეტალური შემთხვევა და იგი განსაკუთრებით ხშირია 50-64 წლის ასაკის ქალებს შორის (Beral V., Banks E., Reeves G., 2002). როგორც ათეროსკლეროზი, ასევე ძუძუს კიბოს რისკი მაღალია პრემენპაუზისა და განსაკუთრებით მენოპაუზის ასაკში (Bain R. P., Greenberg R. S., Whitaker J. P., 1986). აღნიშნული გაპირობებულია ესტროგენების რაოდენობის ცვლილებით ასაკთან დამოკიდებულებაში (Dickson R. B., Stancel G. M., 2000).

მიუხედავად მრავალრიცხოვანი კვლევებისა მრავალი საკითხი მოითხოვს დაზუსტებას არსებული ურთიერთგამომრიცხავი დებულებების გამო. საქმე ეხება ესტროგენებისა და ერ-ის ურთიერთკავშირს ძუძუს კიბოს მორფოგენეზსა და პროგნოზში (Desai S. B., Moonim M. T., Gill A. K., Punia R. S., Naresh K. N., Chinoy R. F., 2000). თვით ესტროგენების რაოდენობა იცვლება ქალის ორგანიზმის ფუნქციონირების პერიოდებთან მიმართებაში, ისევე როგორც ესტროგენ-სტატუსი (Desai S. B., Moonim M. T., Gill A. K., Punia R. S., Naresh K. N., Chinoy R. F., 2000) ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ლიპიდური სტატუსი (Симонова Л. И., Герман В. З., Пушкиарь С. Н., 2002). ამ უკანასკნელი რისკ-ფაქტორებისა და ძუძუს კიბოს მორფოგენეზის კავშირი მეტად ბუნდოვანია. გარდა ერთეული არასრული გამოკვლევისა, არ არსებობს მწყობრი პათოგენეზური რგოლების მიმდევრობა ამ პარამეტრების კავშირის შესახებ, თუმცა ცნობილია ესტროგენების ანტიათეროგენული ეფექტი (Цырлина Е. В., Гамаюнова В. Б., Порошина Т. Е., 1999), რაც ამასთანავე ძუძუს კიბოს მაღალი განვითარების რისკის მატარებელია (Chen C. L., Weiss N. S., Newcomb P., Barlow W., White E.,

2002). ამდენად, ძნელი დასადგენია ზღვარი ესტროგენების თერაპიულ და მორბიდულ სტატუსს შორის. პორმონული რეცეპტორების სტატუსს განსაზღვრავს რიგი ფაქტორები: სქესი, ასაკი, რასა, ორგანოს ლოკალიზაცია, სიმსივნის უჯრედოვნება და პისტოლოგიური დიფერენციაცია, მენოპაუზა, ფეხმძიმობა, ლაქტაცია, წამლების მიღება (Wittliff J. L., et al., 1995, Hill A. D., Doyle J. M., McDermon E. W. et al., 1997).

ერ-ის სტატუსი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ესტროგენების რაოდენობასთან. ესტროგენი ეს არის პორმონი, რომელიც აუცილებელია სარძევე ჯირკვლის ნორმალური ზრდისა და განვითრებისთვის. ესტროგენს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეპროდუქციულ პროცესებში და არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს (Moudgil V. K., 1985).

საკითხის გადაჭრაში სინათლის შეტანა შესაძლებელია რეტროსპექტული ანალიზით ძუძუს კიბოს მორფოგენეზის, ლიპიდური და ერ-ის სტატუსს შორის ასაკობრივ ასპექტში, ესტროგენის რეგულაციის თანდათანობითი რეგრესის პირობებში.

ჩვენი კვლევის მონაცემები არ ასახავს ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს ძუძუს კიბოს ასკობრივი გავრცელების მեრივ. ლიტერატურის მიხედვით ძუძუს კიბოს რაოდენობა მეტია ხანდაზმულ პაციენტებში ახალგაზრდა და მოწიფეულ პაციენტებთან შედარებით (Bernstein L., 1998; Bain R. P., Greenberg R. S., Whitaker J. P., 1986). თუმცა, ამერიკის კიბოს ასოციაციის მონაცემების თანახმად, აფრო-ამერიკელ ქალებს 40 წლის შემდეგ აღენიშნებათ ძუძუს კიბოს შედარებით მეტი რაოდენობა, კავკასიელ ქალებთან შედარებით, რომლებშიც ძუძუს კიბოს გავრცელება ჭარბობს 40 წლის ასაკამდე.

ჩვენი ვარაუდით, ონკოცენტრში ჩატარებული ოპერაციების სტრუქტურაში ახალგაზრდა და მოწიფეული კონტინგენტის რაოდენობის უმეტესობა გამოწვეულია ამ კონტინგენტის ოპერაციისთვის მომართვიანობის აქტივობით და წარმოადგენს ჯანდაცვის ორგანიზაციის პრობლემას დანარჩენი ასაკის პოპულაციაში საგანმანათლებლო და პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენს მიერ შესწავლილი 1063 პაციენტიდან ერ „+“ სიმსივნეთა შემთხვევები (იხ. ცხრ. 5) ჭარბობს ერ „-“ სიმსივნეების რაოდენობას, რაც ემთხვევა სხვა ავტორების მიერ ჩატარებულ გამოკვლევების შედეგებს (Blanco G., Alavaikko M.,

Ohala A. et al., 1984, Barnes D. M., Millis R. R., 1995, McCarty K. S., Silva J. S., Cox E. B., Leight G. S., Wells S. A., 2000).

ძუძუს კიბოს მიმდინარეობას დიდად განსაზღვრავს ერ-ის სტატუსი (Beverly L. N., Flanders D., Go R. C. P., et al., 1987), რომელიც თავის მხრივ კანონზომიერ დამოკიდებულებაშია ასაკთან, ე.ი. ესტროგენების რაოდენობასთან (Wittliff J. L., 1984; Barnes D. M., Millis R. R., 1995).

K. Seibert და თანაავტორების (1982) მიერ დადგინდა, რომ ესტროგენების რაოდენობის შემცირების პარალელურად მატულობს ერ „+“ სიმსივნეების პროცენტული რაოდენობა, რასაც ადასტურებს ჩვენი მონაცემებიც (იხ. ცხრ. 5). კერძოდ, I ჯგუფში თუ ერ „+“ სიმსივნე აღენიშნათ პაციენტთა 67,9%, II და III ჯგუფში შესაბამისად 85,2% და 79,2%.

სხვა სურათი იშლება ერ „-“ სიმსივნეების შემთხვევაში. ყველაზე მეტი პროცენტული რაოდენობა აღინიშნა ახალგაზრდა და მოწიფული ასაკის პაციენტებში – იმ პერიოდში, როდესაც ესტროგენების რაოდენობა შედარებით სტაბილური და ნორმალურია. თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურის მონაცემებს, რომ ერ „-“ სიმსივნეების გენეზი არ არის ესტროგენების რეგულაციით გაპირობებული (Wishaft G. C., Harnett A. N., Purushotham A. D., 1998), ცხადი ხდება ჩვენი მონაცემების მტკიცებულების მართებულობა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფიზიოლოგიურად, მენოპაუზაში მყოფ ასაკოვან პაციენტებში, ესტროგენის შემცირებასთან ერთად, სისხლში მატულობს ათეროგენული ლიპიდები (Stout R.W., 1985). ბოლო წლების სამედიცინო პერიოდიკაში გამოქვეყნდა ერთეული ნაშრომები ლიპიდური და ერ-ის სტატუსის მნიშვნელობის შესახებ ძუძუს კიბოს გენეზში, თუმცა შედეგები ხშირად არაერთგვაროვანია (Stevenson J. C., Crook D., Godsland I. F., Collins P., Whitehead M. I., 1994; Speroff L., Glass R. H., Kase N. G., 1994).

ჩვენი მასალის მონაცემებით შევისწავლეთ და დავადგინეთ ლიპიდური სპექტრისა და ერ-ის სტატუსის დამოკიდებულება (იხ. დიაგრამა 1) ძუძუს კიბოს დროს. პაციენტები გადანაწილებულ იყვნენ ერ „+“ (I ჯგუფი) და ერ „-“ (II ჯგუფი) ჯგუფებში. ჯგუფებს შორის აღინიშნა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ერ-ის სტატუსის მაჩვენებლების შედარებისას: $32,1 \pm 15,2$ fmol/mg და $7,9 \pm 3,2$ fmol/mg შესაბამისად ($p < 0,001$).

I და II ჯგუფის მაჩვენებლების შედარებისას გამოვლინდა: II ჯგუფში (ერ „-“) სტატისტიკურად სარწმუნო ათეროგენული ლიპიდების – სქ-ის ($190,9 \pm 48,4$

მგ/დლ), დსლქ-ის ($118,7 \pm 33,9$ მგ/დლ) და ტბ-ის ($164,3 \pm 38,2$ მგ/დლ) – მაღალი ციფრები, რომელიც აჭარბებს მიღებულ ნორმებს II ჯგუფისთვის (Климов А. Н., Никулчева Н. Г., 1998), საპირისპიროდ, I ჯგუფის შესაბამის მაჩვენებლებთან ($\text{სქ} - 169, \pm 21,6$ მგ/დლ დსლქ – $95, \pm 23,9$ მგ/დლ და ტბ – $138,6 \pm 30,4$ მგ/დლ) და განაპირობებს ერ „–“ სიმსივნეების დროს სისხლის ათეროგენულ ხასიათს. რაც შეეხება მსლქ-ის მაჩვენებლებს, მათ შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ დაფიქსირებულა: ($48,2 \pm 10,6$ მგ/დლ და $48,4 \pm 10,4$ მგ/დლ). ჩვენს მიერ მიღებული კვლევის შედეგები მსგავსია სხვა მკვლევართა შედეგებისა (Howson C. P., Kinne D., Wynder E. L., 1986, Симонова Л. И., Гертман В. З., Пушкарь С. Н., 2002).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ერ „+“ სიმსივნეებისგან განსხვავებით, ერ „–“ სიმსივნეების დროს არ ხდება ესტროგენების სამიზნე ქსოვილებთან შეკავშირება (Elledge R. M., Osborne C. K., 1997; Anderson E., 2002).

ერ „+“ ჯგუფისათვის დამახასიათებელია შედარებით დაბალი მაჩვენებლები ათეროგენული ლიპიდებისა. ამაზევე მეტყველებს I ჯგუფში გამოვლენილი უარყოფითი კორელაციური კავშირი ტბ და მსლქ შორის ($r=0.617$, $p<0.05$).

მიღებული შედეგები წამოჭრის მეტად მნიშვნელოვან საკითხს: ერ „–“ სიმსივნეების დროს ესტროგენების დონე არ განაპირობებს ძუძუს კიბოს გენეზს, თუმცა ამ დროს სისხლში მატულობს ათეროგენული ლიპიდები, რაც შესაძლებელია იწვევდეს ერ „–“ კიბოს ზრდას, უჯრედების პროლიფერაციასა და გავრცელებას – ანუ ავთვისებიანობის პროგნოზული მაჩვენებელია.

ერ-ის რაოდენობაზე დამოკიდებულია მალიგნიზაციის პროცესი და ძუძუს კიბოს პროგნოზი. ამ ასპექტში კვლევის შედეგები ურთიერთგამომრიცხავია.

რიგი ავტორები მიიჩნევენ, რომ სარძევე ჯირკვლის მალიგნიზაციის დროს, ერ-ის რაოდენობა შემცირებულია (Koenders P.G., Beex L.V., et all, 1991), ზოგის მონაცემებით კი არანაირი არსებითი კავშირი ერ-სა და მორფოლოგიურ თავისებურებებს შორის არ არსებობს (Roberts A. N., Hähnel R., 1981).

სხვა კვლევების თანახმად, ერ „–“ სიმსივნეები ატარებს განსაკუთრებულ მორფოლოგიურ თვისებებს. მათ წამყვან მორფოლოგიურ თვისებას მიეკუთვნება ინტენსიური გავრცელება (გამოხატული ინგაზიურობა) (Thomas C. et al., 2005).

ჩვენი მონაცემებით დავადგინეთ კავშირები ერ-ის სტატუსს, მორფოლოგიურ ფორმებსა და ავთვისებიანობას შორის, რის საფუძველზეც შეიძლება პროგნოზე მსჯელობა.

მნიშვნელოვანია ერ-ის და ძუძუს მორფოლოგიური სტრუქტურის ლიტერატურული ასპექტები. კერძოდ, ძუძუს ნორმალური ქსოვილის მორფოლოგია – ეპითელური უჯრედების სიმცირე და ცხიმოვანი უჯრედების სიჭარბე კავშირშია ერ-ის მცირე რაოდენობასთან (Wittliff J., 1975; Leclercq G., Heuson J., 1977).

როგორც ერ „+”, ისე ერ „-” ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტებს აღენიშნებათ სადინოვანი კარცინომის უფრო მეტი შემთხვევები სხვა მორფოლოგიურ ფორმებთან შედარებით.

როგორც ცხრ. 6-დან ჩანს, სამივე ასაკობრივ ჯგუფში ძუძუს კიბოს ინგაზიური ფორმების შემთხვევები ჭარბობს არაინვაზიური ძუძუს კიბოს შემთხვევებს, რაც ემთხვევა სხვა ავტორების მიერ ჩატარებულ გამოკვლევების შედეგებს (Gathani T., Bull D., Green J., Reeves G., Bera V., 2005; Краевский Н. А., Смольянникова А. В., Саркисова Д. С., 1993).


როგორც ინგაზიური, ასევე არაინვაზიური ძუძუს კიბოს შემთხვევაში, ერ-ის სტატუსის მიუხედავად, კიბოს მორფოლოგიის საერთო სტრუქტურაში ჭარბობს სადინოვანი კარცინომის შემთხვევები, რაც ემთხვევა სხვა კვლევების შედეგებსაც (McKeown-Eyssen G. E., Rogers-Melamed I., Clarke E. A., 1985, Elledge R. M., Osborne C. K., 1997).

გავითვალისწინეთ რა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა არ წარმოადგენს ეპიდემიოლოგიური კვლევის მასალას, მორფოლოგიური ფორმების სტრუქტურული განაწილება გამოვთვალეთ პროცენტულად საკუთრივ ჯგუფებში. დაყოფა საშუალებას იძლევა კორექტურად მოხდეს ცალკეული მორფოლოგიური ფორმების შეფასება ასაკისა და ერ-ის სტატუსის მიხედვით (იხ. დიაგრამა 2 და 3).

მართალია, ჩვენს შემთხვევაში არ შეგვისწავლია ესტროგენის დონე სისხლში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ I ჯგუფის პაციენტებს არ აღენიშნებოდათ მენოპაუზა. II ჯგუფის ყველა ქალი იმყოფებოდა პრემენპაუზისა და მენოპაუზის პერიოდში, ხოლო III ჯგუფის პაციენტები მენოეპაუზის მდგომარეობაში, ე.ი. შეიქმნა ესტროგენების თანდათანობითი რეგრესის მოდელირების პირობები.

დიაგრამა 2 ავლენს ერ „+“ სიმსივნეების დროს მორფოლოგიური ფორმების პროცენტულ სტრუქტურას ესტროგენის რეგრესის ასაკობრივ ასპექტში.

დიაგრამა 2. ასაკისა და მორფოლოგიური ფორმების კავშირის ურთიერთობა
